საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი-პარასკევი, 6-7 აგვისტო. 2020 წ. №97 (9023) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ვლადიმერ ხომერიკი:



მთავარი თემა

ვურჩევ ხელისუფლებას, მალე დაიწყოს დიალოგი რუსეთთან!

8

გიორგი გახარია: ლიბანელ ხალხს გამძლეობასა და სიმტკიცეს ვუსურვებ გლოვის ამ მძიმე დღეებში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში მომხდარ აფეთქებას სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე მთავრობის მეთაური მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და ლიბანელ ხალხს გამძლეობასა და სიმტკიცეს უსურვებს.

„ღრმად დამამწუხრა ბეირუთში მომხდარმა გამანადგურებელმა აფეთქებამ, რომელმაც ათობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, დაშავდა ათასობით ადამიანი. გულითადად ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს და მეგობრებს. ლიბანელ ხალხს გამძლეობასა და სიმტკიცეს ვუსურვებ გლოვის ამ მძიმე პერიოდში“, — წერია პრემიერ-მინისტრის ტვიტში.

ძლიერი აფეთქება ბეირუთის პორტში 4 აგვისტოს საღამოს მოხდა, რამაც ქალაქში შენობების ნგრევა გამოიწვია. ლიბანის ჯანდაცვის მინისტრზე დაყრდნობით aljazeera ავრცელებს ინფორმაციას, რომ აფეთქების შედეგად 78 ადამიანია დაღუპული, 4 000 კი დაშავდა. შენობების ნანგრევებში ცხედრებს ამ დრომდე პოულობენ. ბეირუთში საავადმყოფოები გადავსებულია და პაციენტებს სამედიცინო დახმარებას ექიმები ქუჩებში უწევდნენ.

რასაც ოპოზიცია აკეთებს, ეს არის სააგიტაციო პროპაგანდისტული ომის კარგი მაგალითი...

რა მოცემულობით ხვდება „ქართული ოცნება“ 2020-ის არჩევნებს? ცალკეული გამოკითხვების მიხედვით, პანდემიის პერიოდმა მმართველი გუნდის რეიტინგი ამოსწია, მაგრამ პანდემიის შიში გაჰყვება თუ არა მოსახლეობას არჩევნებამდე და, თუ ისურვებს „ქართული ოცნების“ ახლად დასახელებული მაჟორიტარების ხათრით არჩევნებზე წასვლას?

ამის შესახებ ანალიტიკოსი ვახტანგ მაისაია გვესაუბრება.

— რამდენად სახარბიელოა „ოცნების“ მდგომარეობა ამ არჩევნებზე?

— ზემოქმედების შედეგად მიიღეს ის საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც „ოცნებისთვის“ არ იყო მომგებიანი. ვგულისხმობ პროპორციულ არჩევნებს. გარდა ამისა, მოხდა საარჩევნო ბარიერის დაწევა, რაც არა მგონია, „ოცნებისთვის“ სასიკეთო იყოს! აქედან გამომდინარე, ალბათ, „ოცნების“ რვაწლიანი ციკლი ლოგიკურად დასრულდება, რადგან არც ერთ მმართველ პოლიტიკურ პარტიას, არც „მოქალაქეთა კავშირს“, არც „ნაცმოძრაობას“ და არც „ქართულ ოცნებას“ რვა წელზე მეტი სრული ჰეგემონობის პერიოდი არ ჰქონი!

— როგორ ფიქრობთ, ამერიკის ჩარევის გარეშეც „ოცნებისთვის“ დრო დაჩქარდა?

— რა თქმა უნდა, ეს თვითონ გამომდინარეობს იმ საკანონმდებლო ბაზისიდან, რომელიც უკვე შექმნილია იმ მოვლენების შედეგად, რაც დაიწყო გასულ წელს.

— ეს ნიშნავს, რომ გასული წლის 20 ივნისის შემდეგ „ოცნებამ“ ჰარაკირი გაიკეთა?

— მე მგონი, აქ მთავარია, რომ კოალიციური მთავრობის აუცილებლობა ისედაც დადგება დღის წესრიგში. ამერიკიდან მონიტორინგი იქნება უფრო ძლიერი, ვიდრე წინა არჩევნების დროს, თუნდაც სააკაშვილისა და შევარდნაძის პერიოდში.

იხ. 4 გვ.

კონდოლიზა რაისი: საქართველომ საკუთარი დემოკრატია თვითონ უნდა აშენოს

ამერიკის მზარდი ურთიერთობა საქართველოსთან ზიარ ფასეულობებსა და საერთო ინტერესებს ეფუძნება

9

ცოტნე გამსახურდიას უკვე სრულიად ნათელი გონება აქვს!



პირველი **პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟის ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება. იგი არაერბალურად კონტაქტსაც ამყარებს მეუღლესა და ექიმებთან,** — ამის შესახებ „2020NEWS“-ს გამსახურდიას მეუღლემ ანა ჯაბაურმა განუცხადა. მისივე თქმით, პირველი პრეზიდენტის ვაჟი გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო ნეიროსარეაბილიტაციო ცენტრში მკურნალობას გადის და მისი დღევანდელი მდგომარეობა გერმანელ მედიკოსებს იმედს აძლევს, რომ ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება. როგორც ჯაბაური სააგენტოსთან საუბარში აცხადებს, მისი მეუღლის მოსანახულებლად ჰაიდელბერგის კლინიკაში არაერთი ემიგრანტი ჩადის და ძალიან ბევრი ადამიანი ინტერესდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით.

„გერმანიაში ვართ სამი კვირაა უკვე, ჰაიდელბერგში, კლინიკაში, რომელიც რეიტინგით პირველ ადგილს იკავებს ამ ქვეყანაში ნეირორეაბილიტაციის ცენტრებს შორის ბოლო სამი წლის განმავლობაში. არის ამ დარგის ცნობილი სპეციალისტისა და პროფესორის მეთვალყურეობის ქვეშ, უგრძელდება აქტიური რეაბილიტაცია. გვაქვს პატარ-პატარა წინსვლებიც, თუმცა გაცილებით დიდი წინსვლის იმედსაც გვაძლევენ“, — ამბობს ჯაბაური.

გუშინ ცოტნე გამსახურდიას დაბადების დღე იყო, ვულოცავთ!.

თაკოური სკანდალი ნათელა-შვილებში

4

ჩაფშვნილი ეროვნება

პანდემიის შემდეგ კერძო სახლებზე მოთხოვნამ იმატა!

7

რა ვითარებაა უძრავი ქონების სააგენტოებში

ქვეყნის შიგნით კრიმინალი, ქვეყნის გარეთ – ღამურა!

მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის შიგნით კრიმინალად იქცა, ქვეყნის გარეთ კი ღამურას დაემსგავსა. ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა.

წულუკიანმა კომენტარი გააკეთა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და უკრაინის რეფორმების კომიტეტის ხელმძღვანელის მიხეილ სააკაშვილის განცხადებებზეც, რომლებიც საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს ეხება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თქმით, მმართველი გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რას იტყვის მიხეილ სააკაშვილი.

„დიდი იმედი მაქვს, დადგება დრო, როდესაც აღარც თქვენ მოგინდებათ, სააკაშვილზე კომენტარი სთხოვოთ ვინმეს და მით უმეტეს, ჩვენ არ ვიქნებით ვალდებული, რამე ტიპის განცხადება გავაკეთოთ იმ ფიგურაზე, რომელიც პრაქტიკულად, ჩვენი ქვეყნის შიგნით დიდი ხანია, ქცეულია კრიმინალად და ქვეყნის გარეთ ღამურას დაემსგავსა.

ცდილობს, აქ ფეხი ისევ მოიკიდოს, რისი პოლიტიკური რესურსი და შანსიც მას არ გააჩნია. იმ ქვეყნებში, სადაც ჩაივლის ხოლმე, რა თქმა უნდა, ფეხს ვერ იკიდებს, რადგან არასდროს ყოფილა რეფორმატორი.

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ეს მარგინალური, კრიმინალური ძალა რა განცხადებებს გააკეთებს. ჩვენ გვაქვს ჩვენი დღის წესრიგი და ვემზადებით მაღალი ხარისხის დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნებისთვის. მათ შორის, იმ კომპლექსურ და რთულ პირობებში, როგორიც არის მსოფლიოს მასშტაბით პანდემია და ჩვენს ქვეყანაში ეპიდემია“, – განაცხადა წულუკიანმა.

აღმოსავლეთ სარდლობას პოლკოვნიკი როლანდ ძნელაძე უხელმძღვანელებს

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლად პოლკოვნიკი როლანდ ძნელაძე დაინიშნა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აღმოსავლეთ სარდლობის შტაბს ახალი სარდალი თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა წარუდგინა. მან ყოფილ სარდალს, ბრიგადის გენერალ ალექსანდრე კიკნაძეს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და ახალ სარდალს წარმატებები უსურვა.

პოლკოვნიკი როლანდ ძნელაძე თავდაცვის ძალებში 2002 წლიდან მსახურობს. აღმოსავლეთის სარდლად დანიშვნამდე მას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის პირველი ქვეითი ბრიგადის მეთაურის თანამდებობა ეკავა. მას სამეთაურო პოზიციებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს – იყო ბატალიონის მეთაური, მე-5 ქვეითი ბრიგადის მეთაურის მოადგილე და შემდგომში, ამავე ბრიგადის მეთაური.

პოლკოვნიკ როლანდ ძნელაძეს დასრულებული აქვს გაერთიანებული სამხედრო აკადემია; წარჩინებით დაამთავრა სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო სკოლა. პოლკოვნიკ როლანდ ძნელაძეს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის გამოცდილებაც აქვს – იმყოფებოდა კოსოვოსა და ერაყში, რის გამოც დაჯილდოვდა მედლებით „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის“. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმწიკვლო სამსახურისათვის მიღებული აქვს III, II და I ხარისხის მედლები. დაჯილდოებულია მედლებით – „გენერალი კვინიტაძე“, „გენერალი მაზნიაშვილი“, „სამშობლოსათვის თავდადებული“ და სხვა. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სამხედროებისთვის 5 000 ბინის დაკანონება დაიწყო

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ ინიცირებული პროექტის განხორციელება, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით უწყების ბალანსზე არსებული 5 000 ბინის დაკანონებას ითვალისწინებდა, უკვე დაიწყო. ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ჯუანშერ ბურჭულაძემ თავდაცვის უწყებაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ბინების გადაცემის პროცესის ეფექტიანი და სამართლიანი წარმართვის მიზნით, მინისტრის ბრძანებით სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელშიც სამინისტროსა და თავდაცვის ძალების შესაბამისი წარმომადგენლები შედიან. თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ 5 000-მდე ბინას, ფაქტობრივად, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი პირები და საქართველოს სხვა მოქალაქეები დაიკანონებენ.

მარიამ ქვრივიშვილი: პარიზისა და მიუნხენის რეისებით ჩამოსულ მგზავრთა უმრავლესობა ტურისტია!

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მარიამ ქვრივიშვილის განცხადებით, მიუნხენი-თბილისი-მიუნხენისა და პარიზი-თბილისი-პარიზის მიმართულებით ფრენების აღდგენის შემდეგ საფრანგეთიდან და გერმანიიდან შემოსული მგზავრების უმრავლესობა ტურისტია.

ამის შესახებ ქვრივიშვილმა მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, აეროპორტში მგზავრების უმრავლესობას კორონავირუსზე ტესტირება ჩაუტარდა და ინფექცია არც ერთ პირს არ დაუდასტურდა. „ორი აგვისტოდან მიუნხენი-თბილისი-მიუნხენის მიმართულებით რეგულარული რეისები ავიაკომპანია „ლუფტანზამ“ განაახლა, ხოლო 8 აგვისტოდან, პარიზი-თბილისი-პარიზის მიმართულებს ფრენებს „ეარფრანსი“ განაახლებს. მოხარულები ვართ, რომ ჩვენი ქვეყნის ტურიზმისა და საავიაციო ინდუსტრიაში პარტნიორი ავიაკომპანიები ბრუნდებიან, რომლებიც რეგულარულ ავიარეისებს განაახლებენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი პოზიტიური ინფორმაცია, რომ გუშინ შესრულდა პარიზი-თბილისი ავიარეისი, ბორტზე იმყოფებოდა 188 ადამიანი, აბსოლუტური უმრავლესობა იყო ტურისტი. მგზავრებმა კარანტინის გავლის გარეშე დატოვეს აეროპორტი და ახლა ჩვენს ლამაზ ქვეყანაში მოგზაურობენ. იგივე პრინციპი გავრცელდა მიუნხენის რეისზეც. მიუნხენის რეისიდან ჩამოსული მგზავრების აბსოლუტური უმრავლესობა ტურისტია. ამ რეისზე ჭარბობდნენ გერმანიის მოქალაქეები, ხოლო პარიზის რეისზე საფრანგეთის.

როგორ უნდა დასხდნენ ბავშვები სკოლებში, სტუდენტები – აუდიტორიებში?!

ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ახლა სწავლის დაწყებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება,– ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„სწავლის დაწყებაც იქნება სკოლებში მობილობის გაზრდა. როცა ათასობით ბავშვი და სტუდენტი დაიწყებს სწავლას, ეს ვერ იქნება იმ ტრადიციულ სტილში, რაც ადრე იყო. თუ იჯდა 20 ადამიანი, ვერ დაჯდება 20 ერთ ოთახში. ამაზე ვმუშაობთ და იქნება შესაბამისი სტანდარტი, როგორ უნდა დასხდნენ ბავშვები სკოლებში, სტუდენტები – აუდიტორიებში. როგორი უნდა იყოს ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები. ხელების ხშირი დამუშავება, პირბადეების ხმარება, როცა დერეფნებში შესვენება იქნება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მცირეწლოვან ბავშვებში პირბადე არ არის რეკომენდებული, ამაზეც მივცემთ რეკომენდაციას. მუშავდება ეს სტანდარტები როგორც სკოლებთან, ისე უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებით. დარწმუნებული ვარ, აქაც შესაბამისი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით იქნება ყველაფერი, დამყოლობა როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში კარგი იქნება და ჩვენ ერთობლივად შევძლებთ, რომ ამით ქვეყანაში ეპიდსიტუაცია არ გავაუარესოთ. თუმცა, რა თქმა უნდა, რისკი, როცა ასეთი დიდი მობილობის ზრდა არის, არსებობს. ამიტომ სწორად უნდა დაიგეგმოს ყველაფერი, რომ ეპიდსიტუაცია არ გაუარესდეს“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

გამოცდები ჩატარდა უმაღლეს დონეზე!

ერთიანი ეროვნული გამოცდები, სამაგისტრო და მასწავლებლობის მსურველთა გამოცდები წარმატებით დასრულდა, – ამის შესახებ განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„გამოცდები ორგანიზებული იყო უმაღლეს დონეზე, სამედიცინო პროტოკოლი იყო ზედმიწევნით დაცული და ჩვენმა სამინისტრომ ყველაფერი გააკეთა, რომ გამოცდები ყოფილიყო სრულყოფილ, აკადემიურ და უსაფრთხო გარემოში. მინდა აღვნიშნო, რომ ამ გამოცდების დროს მაქსიმალურად იყო დაცული ყველა აბიტურიენტის ინტერესი. ეროვნული გამოცდების დროს მოხდა უპრეცედენტო რამ, კერძოდ, ჩვენ ჩავატარეთ გამოცდა ერთ-ერთ საავადმყოფოში, სადაც კოვიდინფიცირებული აბიტურიენტი იმყოფებოდა და ეს გამოცდაც წარმატებით დასრულდა“, – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

მან დიდი მადლობა გადაუხადა ყველა ადამიანს, უწყებას, რომელიც ჩართული იყო გამოცდების ორგანიზებაში. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, საგამოცდო ცენტრებში სპეციალური წესები მოქმედებდა. ერთიანი ეროვნული გამოცდები ქვეყანაში 6 ივლისს დაიწყო.

ეროვნულ გამოცდებზე ორ საგანში უმაღლესი შეფასება 32-მა აბიტურიენტმა მიიღო

2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ორ საგანში უმაღლესი შეფასება 32-მა აბიტურიენტმა მიიღო, – ამის შესახებ ჟურნალისტებს შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა სოფიო გორგოძემ განუცხადა.

„სასიხარულოა, რომ 20-მა აბიტურიენტმა უმაღლესი ქულა მიიღო ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 12-მა კი მათემატიკაში. ეტაპობრივად ქვეყნდება სხვა საგნების შედეგებიც. ვფიქრობთ, რომ პირველადი შედეგების გამოცხადება დასრულდება მომდევნო კვირის დასაწყისში და ჩვენ შევძლებთ სააპელაციო განაცხადების მიღებას. საპრეტენზიო განაცხადების შემოტანის შესაძლებლობა აბიტურიენტებს 4 დღის განმავლობაში ექნებათ. რაც შეეხება საბოლოო შედეგებს, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო განაცხადების რაოდენობა იქნება წინა წლების მსგავსი, აგვისტოს დასასრულს უკვე შევძლებთ საბოლოო შედეგების გამოქვეყნებას“, – განაცხადა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა.

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ:

ᲕᲘᲜᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲕᲚᲐᲜᲫᲦᲐᲕᲡ, ᲛᲐᲚᲔ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲘᲮᲓᲘᲡ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

— მინდა, დავიწყო თემით, რომელიც საკმაოდ აქტუალურია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამომავლოდ თბილისისთვის და თბილისელებისთვის. მინდა, დავიწყო შაბათით, როდესაც ჭავჭავაძის გამზირზე საავტომობილო მოძრაობა უკვე ახალი გადაწყობილი სისტემით დაიწყო.

მინდა, ბოდიში მოვუხადო ყველა იმ ადამიანს, ავტომანქანის მძღოლს, ვინც კონკრეტულად ამ დღეს ჭავჭავაძის გამზირზე ან მის მიმდებარე ქუჩებზე გადაადგილდებოდა და მოუწია გარკვეული დროით „საცობში“ დგომა. ადამიანურად ნამდვილად მესმის თქვენი. მეც რიგითი მოქალაქე ვარ. ვმართავ ავტომობილს და ყოველდღიურად ქალაქში გადავაადგილდები. თქვენს ადგილას მეც იგივე განწყობა და დამოკიდებულება მექნებოდა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მესმის თითოეული თქვენგანის და მინდა, ბოდიში მოგიხადოთ...

— ჯერ კიდევ ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი ვიყავი, როდესაც გუნდმა თბილისის მერობის კანდიდატობა შემომთავაზა, ჩემთვის მოულოდნელი იყო, არ ველოდებოდი, ამის შემდეგ, მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ვითხოვე, რადგან კარგად მესმის ქვეყანაში არსებული მიგრაციისა და პოლიტიკური ვნებების ფონზე, რამდენად რთულია ამხელა ქალაქის მართვა. ჩემი გუნდის წევრებთან ერთად ვისაუბრე და მივიღეთ გადაწყვეტილება, ეს პასუხისმგებლობა აგვეღო. ასევე, ჩვენ ვთქვით, რომ ვერ ვიქნებოდით ის ადამინები, რომლებიც მხოლოდ გზას დააგებდნენ, ორმოებს ამოავსებდნენ და ა.შ. არამედ, ჩვენ ვიქნებოდით ის ადამიანები, რომლებიც ამ ქალაქში მნიშვნელოვან რეფორმებს გაატარებდნენ. შეიძლება ზოგისთვის მტკივნეულს და არაპოპულარულს, მაგრამ ჩვენი ქალაქის, შვილებისა და მომავალი თაობებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს.

ჩვენ, როდესაც საარჩევნო პროგრამაზე მუშაობა დავიწყეთ, შვიდი ძირითადი მიმართულება წარმოვადგინეთ. ეს არ იყო მხოლოდ ლამაზი სიტყვები ან ლამაზად შეფუთული საარჩევნო კამპანია, ეს იყო კონკრეტული ხედვა, გადასადგმელი ქმედითი ნაბიჯები, რა უნდა გაგვეკეთებინა იმისთვის, რომ თბილსიში, 30 წლის განმავლობაში დაგროვილი ერთი და იგივე პრობლემა მოგვეგვარებინა.

— როდესაც დავიწყეთ მუშაობა ამ მიმართულებით, მოვიძიეთ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი კომპანიები, ექსპერტები, ვისაც ანალოგიური პროექტები ჰქონდა გაკეთებული. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ეს არის ჩემი ახირება ან ჩემი „ხუშტურები“. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ — ბევრ ქალაქში ვარ ნამყოფი, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ქვეყანაში 10 წლის განმავლობაში ვცხოვრობდი და, რა თქმა უნდა, მინდა, რომ ყველაფერი საუკეთესო, რაც განვითარებულ ევროპულ ქალაქებშია გაკეთებული, ჩემს ქალაქშიც განხორციელდეს. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს გათვლით, სტრატეგიებით და კონკრეტული პროექტებით. კომპანიები, რომლებიც ჩვენ მოვიძიეთ, მსოფლიოში უძლიერესი კომპანიებია. ესენია ბრიტანული კომპანია „მოტ მაკდონალდი“, დანიური კომპანია „რამბოლი“, ფრანგული კომპანია „სისტრა“ და გერმანული „გოპა“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ამ კომპანიების კონსორციუმით ჩვენ ვმუშაობთ სტრატეგია-დაგეგმვაზე და ის რეფორმა, რომელიც წამოვიწყეთ, სწორედ მათი დახმარებით ხორციელდება. როდესაც ჩვენ შევხვდით, მათ გაგვიკეთეს პრეზენტაცია და გვთხოვეს, რომ მიგვეცა დრო თბილისზე ანალიზისა და შეფასების გასაკეთებლად. რამდენიმე თვეში მოხდა შეხვედრა და ამ ადამიანებმა გვითხრეს, რომ რეფორმა აუცილებლად ჩასატარებელია, იმისთვის, რომ ეს ქალაქი გადარჩეს. მათ დასვეს მხოლოდ ორი შეკითხვა: ვიყავით თუ არა მზად ამისთვის? პირადად მე დამისვეს ეს შეკითხვა, რადგან მე გარდა ქალაქის მერობისა, პოლიტიკოსიც ვარ და ეს შეკითხვა მათი მხრიდან ობიექტური იყო. ასევე, მათი მთავარი პირობა იყო, რომ ამ პროცესში პოლიტიკა არ უნდა შემოგვეტანა. თავიდან გამიკვირდა, თუ რატომ წამოაყენეს ეს წინაპირობები, მაგრამ როდესაც დეტალებში შევედით, ყველაფერს მივხვდი. პირადად მე და ჩემმა თანაგუნდელებმა ავიღეთ პასუხისმგებლობა, რომ ეს რეფორმა განხორციელდეს. ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჩვენი ქალაქისთვის, ჩვენი მომავლისთვის...

— მე გეტყვით ციფრებს - 2012 წელს 180 ათასამდე ავტომობილი გადაადგილდებოდა, 2020 წელს კი ქალაქში 600 ათასზე მეტი ავტომობილი გადაადგილდება და ყოველწლიურად ეს მზარდი ციფრია. შესაბამისად, ქალაქს ვერ გავბერავთ, ვერ გავზრდით. გზების გაფართოება გამოსავალი არ არის, ეს პირიქით, ავტომობილების რაოდენობის გაზრდის წახალისებაა. შესაბამისად, რეფორმა, რომელიც წამოვიწყეთ, უალტერნატივოა და ერთადერთი გზა, რომ არსებული პრობლემა მომდევნო წლების განმავლობაში ეტაპობრივად იქნას მოგვარებული. ჩვენ ამის შედეგებს დღეს და ხვალ ვერ დავინახავთ, მე და ჩემი თანაგუნდელები შეიძლება გავილანძღოთ, მაგრამ ჩვენ ვიღებთ ამ პასუხისმგებლობას, რადგან ამ რეფორმის გატარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის.

კახა კალაძემ ჭავჭავაძის გამზირზე განხორციელებული პროექტის უპირატესობებზე საუბრის ფარგლებში, აღნიშნა ისიც, რომ რეფორმის შედეგად, აღნიშნულ მონაკვეთზე 70 000 მგზავრის გადაადგილება 3-ჯერ ნაკლებ დროშია შესაძლებელი, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

— მუნიციპალურ ტრანსპორტს 8 წუთი სჭირდება ვარაზისხევიდან ვაკის პარკამდე გადაადგილებისთვის, მაშინ, როდესაც საცობში გავლას 24-25 წუთი სჭირდებოდა. ეს კი, მგზავრებისთვის დამატებით პრობლემას ქმნიდა, ისინი 20-30 წუთი ელოდნენ ტრანსპორტს. ამ პრობლემას ავტობუსების დამატებით ვერ მოვაგვარებთ. პრობლემა გამოწვეულია იმით, რომ ქალაქში გადაადგილება საცობების გამო პრობლემურია. ამიტომ, ავტობუსებს უნდა ჰქონდეს თავისი ზოლი მგზავრების უსაფრთხოდ გადასაყვანად...

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენც და ჩვენი შვილებიც, ჩვენს მიერ წამოწყებული რეფორმის სიკეთეებს მოვესწრებით. ის ადამიანები, ვინც დღეს გვლანძღავენ, შეურაცხყოფას გვაყენებენ, მადლობას გადაგვიხდიან. ეს პროექტი ჩვენი ქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია!

ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ ᲪᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲐᲓ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ დღეიდან საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა 9 აგვისტოს ჩათვლით შეუძლიათ.

მოქალაქეები ხიდზე დილიდან გადადიან, თუმცა ტრანსპორტი არ მოძრაობს და მათ ტვირთით დაახლოებით 2 კმ-ის ფეხით გავლა უწევთ. ენგურის ხიდი აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დროებით და ცალმხრივად გაიხსნა. ენგურის ხიდზე გადაადგილება დე ფაქტო მთავრობამ პანდემიის გამო 14 მარტიდან აკრძალა. თუმცა ბოლო თვეებში რამოდენიმეჯერ ცალმხრივად გახსნა. პირიქით, აფხაზეთიდან სამეგრელოს მიმართულებით გადაადილება კი, კვლავ აკრძალულია.

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ

ᲨᲘᲓᲐ ტურიზმის იმედად დარჩენილმა სასტუმრო ბიზნესმა დამსვენებლებისთვის ტარიფები მკვეთრად შეამცირა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. კიდევ უფრო დიდი პრობლემის წინაშე არიან რესტორნები, რომლებიც საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ნახევარი დატვირთვით მუშაობენ.

როგორც დეველოპერული ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, თუკი სეზონზე დასვენების ღირებულება დღიურად 100 დოლარიდან იწყებოდა, ახლა საწყისი ფასი 60 ლარია და მოთხოვნა მაინც მცირეა. ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი **მალხაზ კუნელაური** ამბობს, რომ მოთხოვნა და ფასიც როგორც საზღვაო, ასევე მთიან კურორტებზეც შემცირებულია.

„პრემიუმ კლასის სასტუმროებში გაქირავების მხრივ საკმაოდ რთული ვითარებაა. პანდემიის გამო უცხოელი ტურისტები საქართველოში ვერ ჩამოდიან, ამიტომ ადგილობრივი ტურიზმი რასაც ახერხებს, ამის იმედად ვართ. შესაბამისად, საკმაოდ დიდი კლებაა. მოთხოვნა შემცირდა თითქმის ყველა ტიპის გასაქირავებელ ობიექტებზე. ზაფხულის პერიოდი ბოლო დრომდე ყოველთვის მაქსიმალურად დატვირთული იყო. ახლა ეპიდემიის გამო ხალხი ქვეყნის გარეთ ვერ გადის, ვერც სხვა ქვეყნებიდან შემოდიან, ამიტომ მთლიანად შიდა ტურიზმის იმედად დავრჩით. საჰაერო მიმოსვლა აღარ არის და საქართველოში მცხოვრები ყველა პირი, უცხოელია თუ საქართველოს მოქალაქე, ყველა პოტენციურ კლიენტებად განიხილებიან. ველოდებით, რომ აგვისტოს შუა რიცხვებიდან მეტი მოთხოვნა გაჩნდება. რაც შეეხება ფასს, ბაკურიანში დღიური დასვენების ღირებულება 60-80 ლარიდან იწყება. გუდაურში, ეს მაჩვენებელი 100 ლარის ფარგლებშია. ცხადია, საკმაოდ დაბალი ფასია, მაგრამ ეპიდემიის ფონზე მოთხოვნა ჯერჯერობით მაინც დაბალია“, — განუცხადა „რეპორტს“ კუნელაურმა.

სასტუმროები რომ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების იმედად დარჩნენ, ადასტურებს სასტუმრო „წესის“ დირექტორი **ნუკრი მეტრეველიც**. სასტუმრო სტუმრების სიმცირეს არ უჩივის, თუმცა შემოსავლების არარსებობის გამო თანამშრომლების ნაწილის სამსახურიდან გაშვება მოუწიათ. ამის მიზეზია ის, რომ უცხოეთიდან ჯავშნები მთლიანად გაუქმდა.

„ზაფხულში ჩვენ ველოდით სტუმრებს უცხოეთიდან, მათ შორის უკრაინიდან, ისრაელიდან, ჩეხეთიდან და რუსეთიდან. გვქონდა ჯავშნები, ტურისტები თავიდან ფიქრობდნენ, რომ ჩამოვიდოდნენ, თუმცა საერთაშორისო რეისების დაწყების გადაწევამ ჯავშნების გაუქმება გამოიწვია, ბოდიშიც მოიხადეს, რადგან აპირებდნენ ჩამოსვლას, თუმცა...

რაც შეეხება ადგილობრივ სტუმრებს, ჩვენ 16 ივლისს გავიხსენით და მოლოდინი არ გვქონდა დატვირთვის, თუმცა ხალხი სულ გვყავდა. შარშანდელიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ სეზონზე ხალხი გვყავს“, — განაცხადა მეტრეველმა.

დიდი პრობლემის წინაშე არიან რესტორნებიც, რომლებიც საკურორტო ზონებში მთლიანად ტურისტებზე იყვნენ დამოკიდებულნი. შესაბამისად, რესტორნების დიდი ნაწილი დახურულია, დანარჩენი — ნახევარი დატვირთვით მუშაობს.

კორონავირუსის პანდემიის გამო სარესტორნო ბიზნესი თითქმის 3 თვე გაჩერებული იყო. ღია ტიპის რესტორნები და კაფეები 1 ივნისიდან გაიხსნა, ოდნავ მოგვიანებით კი ყველა სხვა დაწესებულება.

როგორც საქართველოს რესტორატორთა ასოციაციის პრეზიდენტი კოტე გაბრიჩიძე აცხადებს, ამ დროისთვის კვების ობიექტების ნაწილი კვლავ დაკეტილია, ნაწილი კი ნახევარი დატვირთვით მუშაობს.

ᲒᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲗᲐᲙᲝᲣᲠᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘ

ᲙᲐᲪᲡ სოფელში არ აჩერებდნენ და მამასახალისად ამირჩიეთო, — ეს სწორედ გიორგი ვაშაძეზეა ნათქვამი.

ფაქტობრივად „ძალა ერთობაშიადან“ გამოვარდა, როგორც სეპარატისტი და მეთავისე (ოფიციალურად თვითონ გავიდა) და მაინც იხტიბარს არ იტეხს, პრემიერ-მინისტრად ამირჩიეთ, ძმებოო. თუ მხოლოდ „ძმების“ იმედად არის დარჩენილი, ახლავე უყრიდეს ბაწარში თავს, ის დროა. არადა, საკუთარი რესურსები სიზმრადაც არ მოლანდებია, იდეური სიმდიდრითა და სიღრმეებით მოხიბლულ-მოწამლულ (კარგი გაგებით!) მოქალაქეთა ჯარი გარს არ ახვევია.

ეს იცის ამ ცხრა ხეზე გადამხტარმა პოლიტიკოსმა და ისეთ ვირეშმაკობებს იმარჯვებს, სწორედ რომ გასაოცარს. აიღო და თაკო ჩარკვიანთან ერთად სრულიად ახალი პოლიტიკური პლატფორმა შექმნა „აღმაშენებლის სტრატეგია“.

საერთოდ, დიდი წინაპარის სახელს ძალიან იოლად შეეყუდრებიან ხოლმე ჩვენი უქნარა პოლიტიკოსები. გახსოვთ, მიხეილ სააკაშვილი, 2004 წლის არჩევნებში გაიმარჯვა თუ არა, ქუთაისში გაქანდა და გელათში მეფე დავით IV აღმაშენებლის საფლავზე პრეზიდენტის ფიცი დადო (ალბათ, იქიდან აიღო, 1933 წელს ჰიტლერმა კანცლერად კურთხევისას მეფე ფრიდრიხის საფლავთან რომ აღუთქვა წინაპარს დიდი გერმანიის შექმნა), მაგრამ... არ გამოუვიდა მიშა პრეზიდენტს, არც — ადოლფ კანცლერს...

ახლა კვლავ შეაწუხეს დიდი დავითი, მაგრამ გამარჯვება რამ უნდა მოუტანოს გიორგი+თაკოს, მხოლოდ ერთობ მეჩხერი, ათასმეერთე პარტიების „გამარჯვებული საქართველოს“ და „კანონი და სამართალის“ ხმებმა?

აღმაშენებლის პლატფორმას რომ ირჩევ, ქვეყანას გაერთიანებას და დიდგორის მოგებას მაინც უნდა ჰპირდებოდე, არადა, რომელი ერთის ან მეორის გამკეთებლები არიან? არ არიან და არც შეიძლება იყვნენ, იმიტომ, რომ აქამდე მათი სახარე რქა არავის უნახავს. აქამდე ჩადენილი გმირობებიდან მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის უკიდეგანო, ბილწი გინება გვახსოვს.

ალიანსი „ძალა ერთობაშია“ ჯერ თაკომ დატოვა — თანამებრძოლები კრემლთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა. ახლა კი გაერთიანებიდან ვაშაძეც გავიდა და ხიდისთავს შეკრეს პირობა.

ისე გასაკვირი კია: რა აერთიანებს ამ ორ განსხვავებულ პოლიტიკოსს (მოდით, დავარქვათ მათ ასე, დროებით მაინც), გიორგი ვაშაძე ბლოკის „ძალა ერთობაშია“ ძველი აქტიური წევრი იყო, თაკო ამ ორომტრიალში ახალბედაა. მისმა პირველმა ნაბიჯებმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ უბრალოდ „დილიხორს“ ისწორებდა, მაგრამ მერე და მერე თავისი ჭია რომ გაახარა, მართლა გაუტია და საკუთარ პარტიამდე მივიდა. ვაშაძე სააკაშვილის დაფრთიანებულია, თაკო 2012 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ ბუდეში იყო შეყუჟული, ბიძინას გუნდში გამოირჩეოდა ენამრავლობით. თუ როგორ იქცა იგი „ქართული ოცნების“ შეურიგებელ მტრად, ამას სულ სათითაოდ ჰყვებიან, მათ შორის იმასაც, კულტურის მინისტრის მოადგილეობაზე უარი რომ უთხრეს...

მან ბიძინას ლანძღვით გადააჭარბა ნებისმიერს, თვით „ოცნების“ აღიარებულ „დამტირებლებსაც“ კი, რა არ უძახა: რუსეთის ფასიანი აგენტი, ქვეყნის გამჩანაგებელი ყაჩაღი, ცრუპენტელა...

„მარკოზაშვილის დარბაზში“, ანუ ნათელაშვილებში შეკრებილი ოპოზიციის აჯაფსანდალსაც მალე დაატყდა თავს თაკო ჩარკვიანის ენა-სატევარი და ქალბატონმა თაკომ ზანზარით გამოიხურა კარი. მე, დაჯერებული მედასავლეთე, ისეთი სულგაყიდული რუსეთუმეების გვერდით როგორ დავჯდები, როგორიც ნინო ბურჯანაძეაო. თაკომ გვარიანად აანჯღრია ნათელაშვილების ჭაობი. მთავარი ის იყო, რომ მომავალ პრემიერად, ანუ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად, ყველასთვის მოულოდნელად, გიორგი ვაშაძე დაასახელა, „ახალგაზრდა ტალანტური რეფორმატორიაო“ და... აირია მონასტერი.

ამ წინადადებამ მძიმედ დაჭრა არაერთი „ტალანტური“ პოლიტიკოსი, რომლებსაც რა ხანია, გულში უხიცინებთ პრემიერობის იმედი.

კაცმა რომ თქვას, თუმცა ფიცით ცოლ-შვილს გაიწყვეტენ, გულშიც არ გაგვივლიაო, მაგრამ პრემიერის ჩოხას გიგა ბოკერიაც იზომებს, გრიგოლ ვაშაძეც და ძალიან თუ არ გაიოცებთ, შალიკო ნათელაშვილიც და ერთი დუჟინი კიდევ სხვაც. ან თუნდაც — ნიკანდრო (აკი ხალხური სიბრძნე გვასწავლის, ის მელია, რა მელიაა, რომელიც მგლობას არ უმიზნებსო). ამ თანავარსკვლავედში „ტალანტობით“ გიორგი ვაშაძის გამორჩევა, სწორედ რომ დიდი ავანტიურა და გამოწვევა იყო.

მოუკლავი დათვის ტყავს იყოფენ ჩვენი ძვირფასი პოლიტიკოსები! მაგრამ მარტო ეს რომ იყოს, სასაცილო იქნებოდა. ვაშაძის „გაპრემიერებამ“ იმიტომ აღძრა ქარიშხალი „ძალა ერთობაშიაში“, რომ „თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამოს“, „ახალგაზრდა, ტალანტური რეფორმატორების“ მეტი რა გვყავს.

ოლონდ, გიორგი ვაშაძემ ძალიან შეიფერა „პრემიერობა“. ზრდილობისთვის ერთი კი წაიბუტბუტა თავიდან, დედას გეფიცებით, მამას გეფიცებით, თაკოს განცხადების შესახებ არაფერი ვიცოდიო, მაგრამ მოგვიანებით აკი აღიარა, დიახაც, პრემიერ-მინისტრად ჩემზე უკეთესი კანდიდატურა არ არსებობსო და ისიც დაამატა, უამრავი საპრემიერო იდეა მიტრიალებს თავშიო. თანაც საზოგადოებას ინდულგენცია ააფარა — თაკომ რომ თქვა ჩემზე, მიშა სააკაშვილი მასზე დიდ იმედებს ამყარებდაო, დიახაც ასეა, მიშა ამბობდა, პრემიერობის შესაძლო კანდიდატიაო.

თაკო ჩარკვიანმა აშკარად ფეხებზე დაიკიდა პარტნიორთა შეთანხმება ოპოზიციურ კვოტებზე მომავალ საპარლამენტო არჩევნებში თბილისში და დაახეთქა, მაჟორიტარობაზე კენჭს ვიყრი საბურთალოს რაიონშიო.

ამ გამოხდომით თაკომ ბოკერიასაც კი ჩააგდებინა ენა მუცელში, მას მორგებულად უწოდა „პოლიტიკური ვირუსი 30 წლის სტაჟით“. განაცხადა, ჩემს კანდიდატურას იმიტომ ვაყენებ, რათა ხმები წავართვა ისეთ ფსევდოოპოზიციონერებს, როგორებიც არიან ბოკერია, ბურჯანაძე, ბესელია და სხვებიო. ამას გარდა, ბოკერია „პრორუსული ვექტორის უმნიშვნელო პარტიებთან“ ალიანსში დაადანაშაულა.

ᲗᲐᲙᲝ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲔᲛᲐᲠᲨᲛᲐ ᲗᲕᲘᲗ „ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲪ“ ᲙᲘ ᲓᲐᲨᲝᲙᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ. ᲘᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲙᲐᲪᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲔᲡ ᲔᲒᲖᲝᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ.

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, „ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ“ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲘᲣᲠᲐᲠᲘᲖᲡ ᲒᲕᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲓᲐᲕᲡᲮᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲪᲘᲜᲝᲗ, ᲗᲣ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲕᲔᲫᲜᲐ.

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲐᲡᲐᲪ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲞᲠᲝ�პᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ...

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ანუ „ქართულ ოცნებას“ დასავლეთი ლუპით დააკვირდება და შეიძლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საშუალებაც კი არ მიეცეს. ამას ემატება ისიც, რომ „ოცნებაში“ უკვე დაიწყო შიდა კლანური დაპირისპირება, ეს უკვე აშკარად ჩანს, გუბერნატორების გადადგომა განხორციელდა, ასევე, მოხდა გამგებლების დაპატიმრება. როგორც ჩანს, ტენდენციები აქეთკენაა აღებული.

— ოპოზიცია წარმატებულად იყენებს ბოლოხანს მომხდარ ტრაგედიებს — შაქარაშვილის, ბაჩალიაშვილის ტრაგედიას, ლამის როლებში შეიჭრნენ ამ ტრაგედიების ინსცენირებისას. მათი პერსპექტივა როგორი იქნება სერგეენკოს, ვოლსკის და სხვა კანდიდატების წინაშე?

— რასაც ოპოზიცია აკეთებს, ვგულისხმობ ტრაგედიებით სპეკულირებას, ზუსტად ეს არის სააგიტაციო პროპაგანდისტული ომის კლასიკური მაგალითი. ამიტომაც ვთქვი, რომ დაწყებულია სამოქალაქო საინფორმაციო ომი. რაც შეეხება ოპოზიციის პერსპექტივას, თენგიზ ცერცვაძის მიერ გაკეთებული განცხადება სერგეენკოს შესახებ კრიტიკულია. ნუ ვიტყვით, რომ სერგეენკოს შანსები 100%-იანად გარანტირებულია, თენგიზ ცერცვაძემ ბევრად მეტი პოპულარობა მოიპოვა კორონაპერიოდის განმავლობაში, ის გახდა გმირი სამეულის („სამი მუშკეტერი“) სახით, ბუნებრივია, ცერცვაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას უფრო მეტი ადამიანი მიაქცევს ყურადღებას, ვიდრე სერგეენკოს მიერ ჩატარებულ რეფორმებს, რომელთა მიმართაც სერიოზული კითხვები არსებობს, განსაკუთრებით, საველდებულო დაზღვევასთან დაკავშირებით. ცერცვაძის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ ნამდვილად ვერ ვიტყოდი, რომ სერგეენკოს მთლად უღრუბლო არჩევნები ელოდება, მას ეყოლება სერიოზული კონკურენტი ელისაშვილის სახით. ასევე, კონკურენტად ეყოლება ბადრი ჯაფარიძე და შეიძლება გამოჩნდეს კიდევ არანაკლებ წონიანი პერსონა — ლევან გოგიჩაიშვილი, რომელმაც თავის დროზე დაამარცხა ისეთი წონიანი პოლიტიკოსი, როგორიცაა დავით უსუფაშვილი და „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი. ალბათ, გოგიჩაიშვილი საკუთარ კანდიდატურას წამოაყენებს საბურთალოზე, რადგან მან საბურთალოზე გაიმარჯვა თავის დროზე. ამდენად, გამორიცხული არ არის, მეორე ტური ჩატარდეს ამ ოლქში.

— თუ ასეა, ყველაზე ცხელი ოლქი საბურთალო ყოფილა.

— საბურთალოც და კიდევ სხვა ოლქებიცაა საინტერესო. მაგალითად, კახიშვილის კანდიდატურაა ისანში, ვერ ვიტყვით, რომ „ქართულ ოცნებას“ მოგების 100%-იანი გარანტიები აქვს. შიდა პარტიულ კლანურ დაპირისპირებას ემატება კადრების სრული სიმწირე „ქართულ ოცნებაში“. ფაქტობრივად, დღესდღეობით „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარულ ოლქებში დააყენა ისევ ბიუროკრატიული წრის წარმომადგენლები, ყოფილი გუბერნატორები, გამგებლები, არც ისე პოპულარული ძველი გვარდიის სახეები. ახლა ძველი გვარდიიდან დარჩა გია ვოლსკი, ის მაინც წონიანი პოლიტიკოსია, გია ვოლსკი ნამდვილად ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს და დიდი როლი ითამაშა იმ რეჟიმის დამხობაში. სხვა ასეთ წონად ფიგურას ამ შემადგენლობაში ვერ ვხედავ. თანაც, „ქართულ ოცნებასაც“ დაეშალა ელექტორატი. მის ელექტორატს წაიღებს „ქართული მარში“, „პატრიოტთა ალიანსი“, „სოლიდარობა ალიანსისთვის“, ელისაშვილის და დოლიძის პოლიტიკური პარტია, ანუ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავის დროზე იყვნენ „ქართული ოცნების“ ელექტორატის მთავარი მომხმარებლები. ადმინისტრაციული რესურსი კი რჩება „ქართულ ოცნებას“, მაგრამ შიდა დაპირისპირებამ ეს შეიძლება დაიყვანოს ნულამდე. თუ იქნება სერიოზული მონიტორინგი სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან, ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებამ შეიძლება ეჭვი გააჩინოს. საპრეზიდენტო არჩევნები „ოცნებამ“ მოიგო იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილმა გააერთიანა და ჰომოგენური ძალით დაუპირისპირდა „ნაცმოძრაობას“, რომელიც ასევე ჰომოგენური იყო. დღეს უკვე სიტუაცია განსხვავებულია.

ესაუბრა
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული დიდი მეცნიერი

აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე ჯ 110 ფ

აკადემიკოს სერგი დურმიშიძეს წელს 110 წელი შეუსრულდებოდა. იგი იყო მრავალმხრივ გამორჩეული დიდი ბიოქიმიკოსი, რამდენიმე ინსტიტუტის და მათ შორის, მცენარეთა ბიოქიმიის – ამჟამად მისივე სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი, საქართველოში მცენარეთა ბიოქიმიის, ტექნიკური ბიოქიმიისა და ქსენობიოქიმიის სკოლის ფუძემდებელი.

აკადემიკოსმა სერგი დურმიშიძემ მეცნიერული კვლევის რთული და აღმავალი გზა განვლო. იგი ახალგაზრდობიდანვე ეზიარა მოწინავე მეცნიერულ სკოლას, პირველი ნათლობა მიიღო ცნობილ ქართველ მეცნიერ, პროფესორ ვარლამ ღვალაძესთან, მუშაობდა აკადემიკოსების ლ. პრიანიშნიკოვის, ვ. ბუტკევიჩის, ა. კურსანოვის და ა. ოპარინის ლაბორატორიებში.

მეცნიერმა მრავალი ორიგინალური გამოკვლევა მიუძღვნა ბიოქიმიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას – ალკოჰოლური დუღილის ბიოქიმიას.

მნიშვნელოვანია მისი კვლევა მცენარეებში ორგანულ მჟავათა მეტაბოლიზმის პრობლემაზე. მისი კვლევის ეს შედეგები საყოველთაოდ აღიარებულია და შეტანილია მრავალ ადგილობრივ თუ უცხოურ სახელმძღვანელოში. ამ გამოკვლევებმა თეორიული საფუძვლები შეუქმნეს ამ პროცესზე დამყარებულ ტექნოლოგიებს.

მან პირველმა გამოავლინა მცენარის ღეროსა და გამტარი ნაწილების ბიოქიმიური როლი მცენარის საერთო მეტაბოლიზმში. ამ გამოკვლევებმა საერთო აღიარება პოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

დიდი საერთაშორისო აღიარება მოუტანა სერგი დურმიშიძეს გამოკვლევებმა ფენოლურ ნაერთთა ქიმიასა და ბიოქიმიაში. მის მიერ პირველად იქნა დადგენილი ვაზის მთრთიმლავ ნივთიერებათა ქიმიური ბუნება. შრომები, რომლებიც ვაზის მთრთიმლავ ნივთიერებებს და ანთროციანების ქიმიას მიეძღვნა, შევიდა მსოფლიოს სპეციალურ ლიტერატურაში. მისი მონოგრაფია „ვაზისა და ღვინის მთრთიმლავი ნივთიერებანი და ანთოციანები“ (1955 წ.) სამაგიდო წიგნს წარმოადგენს ფენოლურ ნაერთებზე მომუშავე მკვლევართათვის. წიგნის ძირითადი შინაარსი გადაითარგმნა და გამოქვეყნდა აშშ-ში, საფრანგეთში, იტალიასა და პორტუგალიაში.

აკად. ს. დურმიშიძემ წამოაყენა ჰიპოთეზა მცენარეში ტოქსიკური არომატული ნაერთების ღრმა ჟანგვითი გარდაქმნების შესახებ. ამჟამად ეს ჰიპოთეზა ექსპერიმენტულად არის დადასტურებული. იგი საფუძვლად დაედო ფენოლური ბუნების ნაერთების დეტოქსიკაციის გზების შესწავლას.

აკად. ს. დურმიშიძემ თავისი ფართო ერუდიციით, ინტუიციითა და დაუღალავი შრომით შექმნა სრულიად ახალი მიმართულება ბიოქიმიაში – მცენარეთა ქსენობიოქიმია, დაამუშავა რა მცენარეებში უცხო ნაერთთა დეტოქსიკაციის ახალი ბიოქიმიური კონცეფცია, იგი საფუძვლად დაედო ბიოსფეროს გასუფთავების ბიოქიმიური საფუძვლების შესწავლას. მისი და მისი მოწაფეების ძალისხმევით გამოვლინდა გარემოს დამბინძურებლების, როგორიცაა: ალიფატური, არომატული, პოლიციკლური, კანცეროგენური ნახშირწყალბადები, აზოტის ჟანგეულები, ნახშირჟანგი, ამონიაკი და ათობით სხვა ნაერთის გარდაქმნის გზები და ქიმიზმი მცენარეებში. დადგენილია, რომ სხვადასხვა სახეობის მცენარეები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან დამბინძურებლების შთანთქმისა და დეტოქსიკაციის უნარით, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს და ამჟამად უკვე გამოიყენება ბიოსფეროს გასასუფთავებლად გზატკეცილების გასწვრივ, ქიმიური და მეტალურგიული ქარხნების ტერიტორიების, ქალაქის ტიპის სამრეწველო დასახლებების გეგმაზომიერ-რაციონალური გამწვანებისთვის.

მცენარეებში ქსენობიოტიკების შთანთქმას და გარდაქმნას მიუძღვნა სერგი დურმიშიძემ მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოსცა. იგი 300-ზე მეტი შრომის, მათ შორის რამდენიმე ფუნდამენტური მონოგრაფიის ავტორია.

მცენარეულ კვლევას ბატონი სერგი კარგად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 25 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ორგანულ ქიმიასა და ბიოქიმიაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მეოთხედ საუკუნეზე მეტს ხელმძღვანელობდა მცენარეთა ბიოქიმიისა და ტექნიკური ბიოქიმიის კურსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიურ ფაკულტეტზე.

დიდია სერგი დურმიშიძის დამსახურება, როგორც მეცნიერების ორგანიზატორისა. 1943-1953 წწ. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორია, ხოლო 1953-1954 წწ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, 1955 წლიდან 16 წლის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი გახლდათ, ხოლო 1972 წლიდან 1988 წლამდე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. აკადემიაში მუშაობის პერიოდში ბატონი სერგი მრავალი მეცნიერული წამოწყების ინიციატორი და განმახორციელებელი იყო. ზრუნავდა აკადემიის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერებაზე, ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგების შემდგომ განვითარებასა და გაფართოებაზე, ახალგაზრდა მეცნიერული კადრების ზრდასა და მათ ხანგრძლივ მეცნიერულ მივლინებებზე ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში.

სერგი დურმიშიძის ფასდაუდებელი დამსახურებაა საქართველოს მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომლის ფორმირება მან 1956 წლიდან დაიწყო. ინსტიტუტი საბოლოოდ 1971 წელს დაარსდა. მისი თავდადებული მუშაობის შედეგად, ინსტიტუტი დღეისათვის თავისი თანამედროვე ექსპერიმენტული ბაზით, მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებიც უმეტესად ს. დურმიშიძის აღზრდილები არიან, კვლევის ორიგინალური მიმართულებით მოწინავე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის დგას. აღნიშნულ ინსტიტუტში წარმატებით ვითარდება ფიზიკო-ქიმიური ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის აქტუალური მიმართულებები. ინსტიტუტს მჭიდრო მეცნიერული ურთიერთობა აქვს მსოფლიოს წამყვან მეცნიერულ ცენტრებთან. ბატონი სერგი 12 წელი ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სპეციალიზირებულ საბჭოს. ამ პერიოდში 120-ზე მეტმა ახალგაზრდამ აიმაღლა მეცნიერული კვალიფიკაცია და მიიღო სამეცნიერო ხარისხი.

ბატონი სერგი ადამიანებთან ურთიერთობაში, მეცნიერებასა და ცხოვრების ყველა სფეროში პრინციპული პიროვნება იყო. მის მიერ შექმნილ ინსტიტუტში სხვადასხვა დროს 400-ზე მეტი თანამშრომელი მუშაობდა, მათ შორის, 3 აკადემიკოსი, 4 აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 26 მეცნიერებათა დოქტორი, 70-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი, რომელთაგან დიდი უმეტესობა მისი აღზრდილია.

აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე მკვეთრად გამოირჩეოდა თავისი არაჩვეულებრივი ადამიანური ხიბლით, განჭვრეტის უნარით, მაძიებელი და მახვილი გონებით, დიდი შრომისუნარიანობით, განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით, საქმისადმი პრინციპული მიდგომით და ამავე დროს კეთილი ადამიანური ბუნებით, რითაც მან კოლეგებისა და მოწაფეების დიდი სიყვარული დაიმსახურა.

ბატონი სერგი იყო საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მრავალი კომისიის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და წევრი, სამეცნიერო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-მხატვრული ჟურნალების სარედაქციო საბჭოების წევრი.

იგი გახლდათ საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ოთხგზის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და თბილისის საპატიო მოქალაქე.

ბატონმა სერგიმ თავისი მოწაფეებისა და ახლობლების გულებში უკვდავების ძეგლი დაიდგა, რომლის შექმნასა და ჩამოყალიბებას თავისი შეგნებული ცხოვრების საუკეთესო წლები შეალია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

არჩილ თალაკვაძე: ემიგრანტთა თაობების წვლილი უდიდესია იმაში, რომ დღეს საქართველო ევროპაში ბრუნდება!

ამ დარბაზში თავმოყრილია ჩვენი წინაპრების მოღვაწეობა და ანდერძი, რომელიც საქართველოს ევროპაში დაბრუნებას უკავშირდება – ევროპაში დაბრუნება, საქართველოს ევროინტეგრაცია არის ჩვენი ხალხის მტკიცე არჩევანი და ჩვენი ხელისუფლება განუხრელად ასრულებს საზოგადოების და ჩვენი ქვეყნის ამ მნიშვნელოვან პრიორიტეტს, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ქართული ემიგრაციის მუზეუმის გახსნაზე განაცხადა.

სიტყვით გამოსვლისას არჩილ თალაკვაძემ საქართველოს მიერ ევროპაში დასაბრუნებლად გავლილ გზასა და ამ პროცესში ქართული ემიგრაციის განსაკუთრებულ წვლილზე ისაუბრა.

„რომ არა ის ადამიანები, ვისი წიგნებიც, ნააზრევი და ბიოგრაფიებიც არის თავმოყრილი ამ სივრცეში, საქართველოსთვის შეუძლებელი იქნებოდა, დღეს ევროპა ყოფილიყო ასეთი მაღალი პრიორიტეტი, ევროპა ყოფილიყო ასეთი სახით წარმოდგენილი საქართველოში და საქართველო ყოფილიყო ამდენად ფართოდ წარმოდგენილი ევროპაში. საქართველოს ევროპაში ჰყავს არა მხოლოდ ელჩები, რომლებიც დიპლომატიურ სამსახურში არიან, საქართველოს ევროპაში ჰყავს კულტურის ელჩები, ჰყავს ისტორიის ელჩები, ემიგრანტები, რომელთა დამსახურება არის უდიდესი როგორც მიღწეულ პროგრესში, ასევე, ყველა რთულ დროში, როდესაც ემიგრაცია აკეთებდა შეუძლებელს საკუთარი ქვეყნის და ხალხის დასახმარებლად“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

არჩილ თალაკვაძემ პროფესორ გურამ შარაძის ხსოვნას პატივი მიაგო და მის ოჯახს გურამ შარაძის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებისთვის მადლობა გადაუხადა. მან ხაზგასმით აღნიშნა ქართული ემიგრაციის მუზეუმის გახსნაში თითოეული ადამიანის მიერ შეტანილი წვლილი და დამსწრეებს შეახსენა, რომ კორონავირუსის წინააღმდეგ შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ეროვნული ბიბლიოთეკა საქმიანობას უახლოეს მომავალში, უსაფრთხოების წესებისა და ჯანდაცვის სამსახურების მიერ მოწოდებული პროტოკოლის დაცვით განაახლებს.

„როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, მადლობას გიხდით ყველას – თითოეულ ადამიანს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ამ საქმეში. ჩემთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, ეს მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია, რათა მომავალმა თაობამ გაიაზროს, თუ როგორ დგამდა ნაბიჯებს საქართველო ევროპისკენ. იმ ადამიანებმა, ვისი ბიოგრაფიები და ფოტოებიც აქ არის წარმოდგენილი, შესაძლებელი გახადეს, რომ დღეს საქართველოს აქვს რეალური გეგმა და სამოძრაო რუკა ევროკავშირში დასაბრუნებლად. მე, პირადად, როგორც ახალი თაობის წარმომადგენელი, ქედს ვიხრი და მადლობას ვუხდი ჩვენს წინაპრებს ამ მნიშვნელოვანი წვლილისთვის“, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ სიტყვით გამოსვლისას.

◎ ახალი წიგნები

ზღვა სიკეთისა და მადლისა

„თითოეული წამი მისი ცხოვრებისა მოძღვრებაა“ — ასეთი უმაღლესი შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძემ იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელ ქიქოძეს გამოსათხოვარ სიტყვაში 1896 წლის მარტში გაენათში.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც ერთობ სიტყვაძუნწი იყო ადამიანთა შეფასებაში, საოცარ გულუხვობას იჩენს იმერეთის ეპისკოპოსის ღვაწლის დახასიათებისას, **„ზღვას სიკეთისა და მადლისას“** უწოდებდა მას. იგი მიაჩნდა დიდბუნებოვან კაცად, რომელსაც ღმერთი მოავლენს ხოლმე, რათა ადამიანმა მის მიხედვით და მაგალითად შეიძლოს საკუთარი ზნისა და ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება.

ამ ცოტა ხნის წინათ გამოიცა **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახლად არჩეული აკადემიკოსის ომარ გოგიაშვილის სქელტანიანი მონოგრაფია„წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი (პიროვნება და ღვაწლი)“**. ნაშრომი ღრმად მეცნიერულად, სისხლსავსედ წარმოაჩენს ამ დიდებული მოღვაწის ცხოვრებას და მოღვაწეობას, რომელიც **„მთელი სკოლაა, ანდერძია შთამომავლობისთვის, მაგალითია მაღალი სათნოებისა და სიყვარულისა, მადლისა და ჭეშმარიტებისა“**. (ილია)

იმერეთის ეპისკოპოსი (1860-1896) გაბრიელი, ერისკაცობაში **გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე** (1825-1896) — მოაზროვნე, პედაგოგი, ფსიქოლოგი, საზოგადო მოღვაწე, დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის კარის მოძღვრის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სამაზრო სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ — თბილისის სასულიერო სემინარია. სწავლობდა ფსკოვის, შემდეგ პეტერბურგის სასულიერო სემინარიებში. 1849-58 წლებში მსახურობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ, ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას. პარალელურად მუშაობდა თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში საღვთო რჯულის მასწავლებლად. მიენიჭა მაგისტრის ხარისხი. 1856 წელს თავს დაატყდა დიდი ოჯახური ტრაგედია — მოკლე დროში გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი, რის გამოც მღვდელმონაზვნად ეკურთხა. 1858 წელს დაინიშნა დავითგარეჯის არქიმანდრიტად, შემდეგ — გორის ეპისკოპოსად, 1860 წლიდან კი — იმერეთის ეპისკოპოსად.

გაბრიელი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი და საპატიო წევრი. საკუთარი სახსრებით გახსნა რამდენიმე სახალხო სკოლა, მისი ინიციატივით ქუთაისში დააარსეს სასულიერო სემინარია და ქალთა ეპარქიული სასწავლებელი. 1858 წელს პეტერბურში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა გაბრიელის კაპიტალური ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც რუსეთის სემინარიებში დიდხანს იხმარებოდა სასწავლო სახელმძღვანელოდ. ცნობილმა რუსმა განმანათლებელმა ნიკოლაი დობროლუბოვმა სპეციალური რეცენზიაც კი გამოაქვეყნა ჟურნალ „სოვრემენიკში“, სადაც გაბრიელის ნაშრომს სხვა სახელმძღვანელოთა შორის უპირატესობა მისცა. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ძირითად საკითხთა გადაწყვეტაში გაბრიელი იდეალიზმის პოზიციებზე იდგა, მაგრამ მის ნააზრევში მატერიალიზმის ელემენტებიც შეიმჩნეოდა. საქვეყნოდ ცნობილია გაბრიელის წარმოთქმული სიტყვები და ქადაგებანი.

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას განათლების დარგში. წინ აღუდგა იანოვსკი-ლევიცკის მუნჯური მეთოდით სწავლებას, რომლის მიზანიც იყო ქართული ენის სრული განდევნა სკოლებიდან. 1872 წელს გაილაშქრა გიორგი მუხრანბატონის წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა დიდი ერის მიერ პატარა ერების გაქრობა-ასიმილაციის გარდაუვალობას, მოითხოვდა ბატონყმობის გაუქმებას.

გაბრიელი დასაფლავებულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

ომარ გოგიაშვილი გვთავაზობს თვალსაზრისს, რომ XIX საუკუნის II ნახევარის ქართველ საერო მოღვაწეებთან (ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.) ერთად უმნიშვნელოვანესია გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლიც ზოგადსაგანმანათლებლო კულტურისა და მართლმადიდებლურ-ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლზე, მის მდიდარ მემკვიდრეობაზე მრავალი ნაშრომი, გამოკვლევა თუ სტატიაა გამოქვეყნებული. აკადემიკოს ომარ გოგიაშვილის მონოგრაფია მათ შორის გამორჩეულია საკითხის ფართო წრით, კვლევის სიღრმითა და ყოვლისმომცველობით, გამოყენებული ლიტერატურის სიუხვით, თვით გაბრიელის ქადაგებათა საფუძვლიანი შესწავლით.

ნაშრომი რვა თავისგან შედგება, ცალ-ცალკე ადგილი ეთმობა ბიოგრაფიას, მას როგორც მეცნიერს, ფსიქოლოგს და პედაგოგს, გაბრიელის ერისკაცობას, მის პოლიტიკურ ორიენტაციას, სასულიერო და საერო, ზოგადქრისტიანულ და კონფესიურ ღირებულებებს, ღვთისმსახურების ენას. ავტორი რელიგიას განიხილავს, როგორც ზნეობრივ ფილოსოფიას, ადამიანური ვნებების გამოვლინების ფორმებს და მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ საფუძვლებს, გაბრიელ ეპისკოპოსის ბრძოლას გიორგი მუხრან-ბატონის წინააღმდეგ...

ეს მონოგრაფია ერთგვარად აგრძელებს აკად. ომარ გოგიაშვილის ფუნდამენტურ ხუთტომიან ნაშრომს „ილია დღეს“, რომლის მესამე ტომშიც დიდი ადგილი ეთმობა ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლისადმი.

ნაშრომით „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი“ აკად. ომარ გოგიაშვილმა სათანადოდ მიუზღა ამ დიდებული სასულიერო პირის დიდ ღვაწლს, მის სამოციქულო განმანათლებლურ, ჰუმანიტარულ, კაცთმოყვარულ, საქველმოქმედო მოღვაწეობას, რასაც 1995 წლის სექტემბერში გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის წმინდანად შერაცხვა მოჰყვა.

სანდრო ალექსიძე

BBC: შობადობის გლობალური ვარდნა მსოფლიოში

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ადრე თუ გვიან შობადობის ვარდნის და მოსახლეობის რადიკალური კლების წინაშე აღმოჩნდება.

მათ შორის, მაგალითად, ესპანეთსა და იაპონიაში, დღევანდელი დემოგრაფიული ტენდენციების შენარჩუნების შეთხვევაში 2100 წლისთვის მოსახლეობა 50%-ით შემცირდება. კაცობრიობა დაბერდება, 80 წელზე ასაკოვანი ადამიანები ახალშობილებზე მეტი იქნება.

რა ხდება?

ერთ ქალზე საშუალო შობადობა წლების მანძილზე კლებულობს — თუ ეს მაჩვენებელი 2,1 ბავშვზე ნაკლებია — მოსახლეობის რაოდენობა შემცირებას იწყებს.

1950 წელს საშუალო მსოფლიოს მაჩვენებელი 4,7 იყო, 2017 წლისთვის კი 2,4-მდე დაეცა. სიეტლის უნივერსიტეტის პროგნოზით, 2100 წელს ის 1,7-მდე დაიკლებს.

დედამიწის მოსახლეობა პიკს 2064 წელს მიაღწევს — 9, 7 მლრდ. ადამიანს, და შემდეგ კლებას დაიწყებს, ხოლო 2100 წლისთვის 8,8 მლრდ. გახდება.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა — მსოფლიოს დიდი ნაწილი ცხოვრებას მოსახლეობის ბუნებრივი კლების პირობებში იწყებს“ — განაცხადა კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა, პროფესორმა კრისტოფერ მიურეიმა.

შობადობის კლების მთავარი მიზეზია ქალების არჩევანი განათლების და კარიერის სასარგებლოდ, რა დროსაც შვილების მცირე რაოდენობა — გარკვეულწილად მათი წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სხვებზე მეტად ვის შეეხება?

იაპონიის მოსახლეობამ 2017 წელს ისტორიულ მაქსიმუმს — 128 მლნ.-ს — უკვე მიაღწია და შემცირება დაიწყო. სავარაუდოდ, საუკუნის ბოლოსთვის, ის 53 მლნ.-მდე შემცირდება. არანაკლებ მკვეთრი ვარდნა იტალიას ელის — 61-დან 28 მლნ.-მდე.

2100 წლისთვის 23 ქვეყნის მოსახლეობა დღევანდელზე 2-ჯერ ნაკლები იქნება — მათ შორისაა ესპანეთი, პორტუგალია, ტაილანდი და სამხრეთ კორეა.

ამ სიაში მოხვედრასთან ძალიან ახლოსაა ჩინეთიც, რომლის მოსახლეობაც 2100 წელს 730 მლნ. ადამიანი იქნება.

პირველ ადგილზე კი მოსახლეობის რიცხოვნობის მხრივ ინდოეთი გავა.

პრობლემა გლობალურ ხასიათს ატარებს — დედამიწაზე არსებულ 195სახელმწიფოდან 183-ში შობადობა მინიმალურზე ნაკლებ დონეზეა.

ერთი შეხედვით — არაფერი ცუდი ამაში არაა — ნაკლები მოსახლეობა ნიშნავს ნაკლებ ეკოლოგიურ ზიანს, ენერგორესურსების ნაკლებ მოხმარებას, და ა.შ.

თუმცა, კრისტოფერ მიურეის თქმით, ეს ასე მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს.

„საქმე გვექნება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის რადიკალურ ცვლილებასთან, რაც უამრავ პრობლემას შექმნის. ძალიან რთული იქნება ნორმალური ფუნქციონირება ქვეყნებში, სადაც დასაქმებულებზე მეტი პენსიონერია. ვერანაირი გადასახადები ამდენი პენსიონერის რჩენას არ ეყოფა“ — მიიჩნევს პროფესორი.

პარალელურად, მუშახელის დეფიციტი სულ უფრო და უფრო სერიოზული გახდება ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა იზრდება, ხოლო მოსახლეობა მცირდება.

ზოგიერთი ქვეყანა ამ ეტაპზე პრობლემას მიგრაციის წახალისებით წყვეტს, თუმცა, საბოლოო ჯამში ესეც ჩიხური გზაა, რადგანაც მოსახლეობის კლება ყველას შეეხება.

სხვა ქვეყნების შობადობის ზრდას სხვადასხვა შეღავათებით ცდილობენ, თუმცა, ეს თითქმის არ მუშაობს — კარიერაზე „დაგეშილ“ ქალებს სახლში რაღაც გაურკვეველი შეღავათებით ვერ გააჩერებ.

შვედეთმა დიდი ძალისხმევით შობადობის 1,7-დან 1,9-მდე გაზრდა მოახერხა,თუმცა, სხვები ნაკლებად წარმატებულები არიან ამ მხრივ — სინგაპურში შობადობა კვლავ 1,3 დონეზე რჩება.

ერთადერთი რეგიონი, სადაც მოსახლეობა გაიზრდება, იქნება აფრიკა — მაგალითად, 2100 წელს ნიგერიაში 791 მლნ. ადამიანი იცხოვრებს.

რატომ მაინცდამაინც 2,1?

რატომ არის 2,1 ბავშვი ერთ ქალზე კრიტიკული მაჩვენებელი? მათემატიკურად რომ დავითვალოთ, გამოდის, რომ მოსახლეობის ერთ დონეზე შენარჩუნებისთვის საკმარისია 2 ბავშვი თითო ქალზე.

თუმცა, ეს თეორიაა, რადგანაც, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი ბავშვები კვდებიან, არც უშვილო წყვილებია იშვიათობა.

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მოსახლეობის შენარჩუნებისთვის სასიცოცხლოდ საჭიროა სწორედ 2,1 ბავშვი 1 ქალზე — პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ უმრავლესობას 2 შვილი, ხოლო ნაწილს — 3 ეყოლება.

თავი უკვდავები ჰგონიათ და ღმერთის მოტყუება სურთ...

რატომ არ დაეხმარნენ საკუთარ ქვეყანას რუსი მილიარდერები პანდემიის დროს

რუსეთში ბოლო დღე-ღამეში 5 509 ახალი კორონავირუსით დაინფიცირების შემთხვევა დადასტურდა. დაავადებულთა მთლიანმა რაოდენობამ 834 499-ს მიაღწია, ხოლო დაღუპულთა რაოდენობა 13 802-მდე გაიზარდა.

დამოუკიდებელი რუსული მედია და ექსპერტები ჯერ კიდევ ივნისში ვარაუდობდნენ, რომ რუსეთში ეპიდემიური ვითარება ვერ გაუმჯობესდებოდა, ვინაიდან საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ საყოველთაო რეფერენდუმი ადამიანების დიდ შეკრებებთან იყო დაკავშირებული. მასობრივი ხმის მიცემის პროცესი გარდაუვალი იყო და ეპიდვითარების განმუხტვას ნამდვილად არ ემსახურებოდა. ემსახურებოდა მხოლოდ ერთ რამეს და ეს ერთი რამ მოხდა კიდეც – ვლადიმირ პუტინმა 1 ივლისს რუსეთის მოქალაქეები საარჩევნო ოლქებში საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად მიიყვანა. როგორც ოფიციალური მონაცემებიდან არის ცნობილი, რუსეთის კონსტიტუციის ცვლილებებს მოქალაქეების 70%-მა დაუჭირა მხარი. გარდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი განახლებისა, ძალაში შევიდა ის ცვლილებაც, რომლის მიხედვითაც, ვლადიმირ პუტინს 2036 წლამდე პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება დაუმტკიცდა.

გასაგებია, როგორც მოიქცა რუსეთის ხელისუფლება, მეორე მხრივ კი განხილვის თემაა, თუ როგორ გამოიჩინა თავი კრემლთან დაახლოებულმა რუსულმა ბიზნესელიტამ. როგორც ვიცით, მსოფლიოს ბიზნესელიტა უდიდეს ძალისხმევას და ფინანსებს დებს კოვიდ-19-თან ბრძოლაში და მილიონობით დოლარს რიცხავს როგორც მსოფლიო, ასევე საკუთარი ქვეყნების ფონდებში. გვახსოვს, ამ საქმეში ქველმოქმედების სახით ქართული ბიზნესის წარმომადგენლებიც ჩაერთნენ. ამავე დროს, ირკვევა, რომ იმ რუსმა მილიარდერებმა, რომლებიც „ფორბსის“ სიაში არიან და მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში მუდამ ხვდებიან, პანდემიის დაწყებისას, პირველ რიგში საკუთარი ოჯახებისთვის ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის აპარატების ყიდვა დაიწყეს. როგორც რუსულ მედიაში წერენ: **„ეს ადამიანები ღმერთის მოტყუებას შეეცადნენ, დაიჯერეს, რომ უკვდავები არიან და სიცოცხლის ყიდვა ისევე შეუძლიათ, როგორც ბუტიკში სამოსის. უფრო მეტიც, უმსხვილესი მეწარმეები და სახელმწიფო კომპანიების ხელმძღვანელები არაფრით არ დაეხმარნენ საზოგადოებას ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ცუდ დროს. მათმა დიდმა უმრავლესობამ არ გაიღო კაპიკიც კი კორონავირუსთან ბრძოლაზე. სრულ „თვითიზოლაციაში“ წავიდნენ, დაიმალნენ სასახლეებში რუბლიოვკაზე, სეიშელის, კარიბის და მალდივის კუნძულებზე, მაშინ როცა უბრალო მოკვდავებს სამედიცინო ნიღბების ყიდვა არ შეგვიძლია აფთიაქებში“.**

თუმცა, ზოგმა მათგანმა გარკვეული ფინანსური ხარჯი გაიღო და შექმნა შთაბეჭდილება, რომ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების სიცოცხლე ძალიან ადარდებს. რუსული „ფორბსის“ სიის პირველ ნომრად დასახელებულმა **ძმებმა როტენბერგებმა** ბოტკინის საავადმყოფოს დაახლოებით 600 ათასი დოლარი გადაურიცხეს. პუტინთან დაახლოებულმა ბიზნესმენმა ძმებმა ეს ფული რუსეთის იმ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კლინიკას ჩაურიცხეს, რომელიც ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაშია და ინფიცირებულებს მაინც იღებდა.

რუსულ მედიაში წერენ, რომ შედარებისთვის ერთ დღე-ღამეში, ყაზახეთში იქურმა ბიზნესმენებმა ეროვნული დახმარების ფონდში 41 მილიონი დოლარი გადარიცხეს.

„ფორბსის“ რუსული რეიტინგის 12 ფიგურანტიდან ოთხი იმ რეგიონებს დაეხმარა, რომლებშიც კომპანიები აქვს. სამმა იმ კომპანიას გადაურიცხეს ექსპრეს-ტესტების შესასყიდად თანხები, რულ როტენბერგების ოჯახთან არის დაკავშირებული. ასევე რამდენიმე რუსმა მილიარდერმა რატომღაც უცხოელი ექიმების დახმარება არჩია. ალბათ, იმავე მოტივით, რა მოტივითაც ვლადიმირ პუტინმა იტალიაში სამხედრო ექიმები და დეზინფექტორები მაშინ გაგზავნა, როდესაც რუსეთში საკუთარი ხალხი ჰყავდა დასახმარებელი. „პსჟალ“-ის მფლობელმა, მილიარდერმა **ოლეგ დერიპასკამ** ირკუტსკში 3 კლინიკის აშენება წამოიწყო – 160 ადამიანზე გათვლილი და 3 რეანიმობილი იყიდა. დერიპასკას კომპანია „პსჟალ“ ალუმინის წარმოების მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მოთამაშეა. უშუალოდ ოლეგ დერიპასკას ქონება 1,8 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. აღსანიშნავია, რომ ეს ბიზნესმენი მსოფლიო ასპარეზზე არასუფთა თამაშშია შემჩნეული. რა თქმა უნდა, კრემლის დავალებით. როგორც ევროპული პრესა წერდა, 2016 წელს მან დიდი ფული დახარჯა მონტენეგროში სახელმწიფო გადატრიალების დაფინანსებაში. თუმცა, ეს ფული მართლაც წყალში ჩაეყარა. პუტჩი ჩავარდა, მონტენეგროს პრემიერ-მინისტრი ლიკვიდაციას გადაურჩა, ხოლო რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, ეს პატარა მთიანი რესპუბლიკა NATO-ს ახალ წევრად მაინც მიიღეს.

ძალიან აღშფოთდნენ რუსები მაშინაც, როცა ჯგუფ USM-ს მფლობელმა **ალიშერ უსმანოვმა** საჯაროდ აღიარა, რომ კორონავირუსის ძალიან ეშინია და მშობლიურ უზბეკეთში გადაიმალა. სწორედ უზბეკეთს შესწირა მან 20 მილიონი დოლარი ეპიდემიასთან ბრძოლისთვის, ხოლო რუსეთში – იქ, სადაც მისი მილიონიანი ბიზნესებია, მას ფულის ქველმოქმედებაზე დასახარჯად დაენანა.

ამგვარად, როგორც ჩანს, რუსეთის ფედერაციაში ხელისუფლებაც და ბიზნესიც ერთი გზით მიდის – ჰგონიათ, რომ უკვდავები არიან და ღმერთის მოტყუება სურთ.

პანდემიის შემდეგ კერძო სახლებზე მოთხოვნამ იმატა!

რა ვითარებაა უძრავი ქონების სააგენტოებში

„კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის შემდეგ ქალაქიდან გასვლა და კერძო სახლების ფლობა უფრო სასურველი გახდა“, – ამის შესახებ კომპანია „რემაქსის“ ხელმძღვანელმა მარიამ ასათიანმა „კომერსანტს“ განუცხადა.

კორონავირუსის პანდემიის შემდეგ მოთხოვნა ასევე ისეთი ტიპის მიწებზე გაიზარდა, სადაც უბნური განვითარება მოიაზრება. როგორც ასათიანი ამბობს, ადამიანები ცენტრიდან გასვლაზე და არა ურბანულ განვითარებაზე, არამედ ურბანულ ადგილას უბნის განვითარებაზე დაფიქრდნენ.

„სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მოთხოვნა მომატებულია, კარანტინის პერიოდში ბინებში ჩაკეტვამ, მომხმარებლის მხრიდან დამოკიდებულება და კრიტერიუმები გადააფასა.

მომხმარებლებს, რომლებსაც მანამდე სააგარაკო სახლების დაქირავების აუცილებლობა არ ჰქონიათ, რადგან ბავშვები არ ჰყავდათ და შესაბამისად ბავშვების გაყვანის საჭიროებაც არ ჰქონიათ, მათაც დაიწყეს ქალაქიდან გასვლაზე ფიქრი, რადგან საზღვრების ჩაკეტვის გამო, ქვეყნიდან ვერ გადიან და აგარაკების დაქირავების სურვილი გაუჩნდათ. ასევე, ვისაც საშუალება აქვს, მუდმივ საცხოვრებლად ბინების ნაცვლად კერძო სახლებს ირჩევენ“ – აღნიშნავს მარიამ ასათიანი.

„კომერსანტი“ უძრავი ქონების სააგენტოს kibe.ge-ს დირექტორს ნელი გოგუაძეს გაესაუბრა, რომელმაც აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა განსაკუთრებით კახეთის რეგიონში არის გაზრდილი. სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შესამჩნევ ზრდას myhome.ge-ს მონაცემებიც ადასტურებს. Myhome-ის პროექტის ხელმძღვანელი მადონა კაჭკაჭაშვილი განმარტავს, რომ ინტერესი აპრილი-მაისის თვეში გაიზარდა .

„სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, შესამჩნევად გაიზარდა ინტერესი თავად კორონავირუსისეული ფონის განმავლობაში აპრილი-მაისის თვეში. ზაფხულში ეს მაჩვენებელი ძველ ნიშნულს დაუბრუნდა. ასევე, გაიზარდა მოთხოვნა კერძო სახლების და აგარაკების ქირავნობაზე, განსაკუთრებით თბილისის შემოგარენში, როგორიცაა წყნეთი, კოჯორი, წავკისი და სხვა.“ – აღნიშნავს მადონა კაჭკაჭაშილი

რაც შეეხება ბინების, საოფისე ფართების გაყიდვა -გაქირავების ტენდენციებს, მიუხედავად მოლოდინისა, ფასის და გაყიდვების დრამატული კლება არ აღინიშნება. ნელი გოგუაძის შეფასებით, მოთხოვნა ყველა მიმართულებით მომატებულია, თუმცა ბინის გაქირავების ფასმა დაიკლო.

„როგორც ბინებზე, ასევე საოფისე ფართებზე მოთხოვნები არის მომატებული, რაც შეეხება გაქირავების ფასს, აქ კლება გვაქვს დიდ ფართებზე, შემცირებულია ფასები. ახლა კარკასებზე იყო მოთხოვნა და წინა პერიოდთან შედარებით, საშუალოდ 1 კვადრატული მეტრის ფასი 20 დოლარით არის შემცირებული“, – აღნიშნავს ნელი გოგუაძე.

მარიამ ასათიანიც აღნიშნავს, რომ მიუხედავად მოლოდინისა, რომ ბინის ფასი დაახლოებით 40 პროცენტით დაეცემოდა, არ გამართლდა და ფასებში დრამატული ცვლილება არ შეინიშნება, თუმცა აღნიშნავს, რომ მყიდველს ფასის კლების მოლოდინი ჰქონდა, ხოლო გამყიდველი ფასს არ აკლებს და ამან ბინების გაყიდვის შეფერხება გამოიწვია.

„მყიდველი ფასების კლებას ელოდება და ცდილობს, რომ კარგი წინადადებები იპოვოს, გამყიდველი კი სიტუაციის გამოსწორებას ელოდება და სადამდეც ეყოფა რესურსი, ცდილობს, რომ უძრავი ქონების ფასი ჯერჯერობით არ დაწიოს ან კლება მაქსიმალურად გადაავადოს, აქედან გამომდინარე თუ კორონამდელ პერიოდს შევადარებთ, დაახლოებით 30-35 % ით შემცირებულია ბაზარი, მაგრამ კორონას პერიოდში ტრანზაქციები თითქმის გაჩერებული იყო და ეს სადღაც 80% მდე აღდგენილია“, – აღნიშნავს მარიამ ასათიანი.

მისივე განცხადებით კარანტინის დასრულებიდან პირველივე თვეს, ბაზარი აღდგა. ამ ეტაპზე მყიდველების მიერ ბაზრის აქტიური კვლევა მიმდინარეობს, თუმცა მოლოდინის რეჟიმის გამო ტრანზაქციები იმდენად წარმატებით ვერ სრულდება.

„ვფიქრობთ, რომ ეს ტენდენცია კიდევ 1-2 თვე გაგრძელდება და შემდეგ უფრო კარგად დავინახავთ, რამდენად გადავიდა ეს კრიზისი, ფასები შენარჩუნდა თუ მხოლოდ 10-15% ით დაიკლო.

მყიდველიც ამ ფაქტს შეეგუება და ყიდვა-გაყიდვის პროცესი ჩვეულებრივ გაგრძელდება, ან რეალურად ფასები დაიწევს, იქიდან გამომდინარე, რომ გამყიდველი დიდხანს ვერ შეძლებს ფასების და უძრავი ქონების გაყიდვის შეჩერებას, ვფიქრობ, რომ ორ თვეში მთავარი დარტყმა გადავლილი იქნება, მაგრამ ბუნებრივია, ბაზარი სრულიად რომ აღდგეს, გარკვეული დრო, შეიძლება ერთ წელიც დასჭირდეს“, – მარიამ ასათიანი.

Myhom-ის პროექტის ხელმძღვანელი მადონა კაჭკაჭაშვილი მათი კომპანიის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ 2020 წლის დასაწყისთან შედარებით, სარეალიზაციო ქონების მიწოდების კუთხით მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება, ასევე გაზრდილია მომხმარებლის ინტერესი კონკრეტულ უძრავ ქონებებზე.

კორონავირუსულმა ფონმა ასევე გარკვეული ზეგავლენა ფასების დინამიკაზეც მოახდინა, მაგალითისთვის თბილისში 2020 წლის იანვრის მონაცემებთან შედარებით სარეალიზაციო ქონების საშუალო კვადრატული ფასი დაახლოებით 3-5% ით არის შემცირებული, ხოლო ბათუმში იგივე მაჩვენებელი 5-7% შეადგენს. რაც შეეხება ქირას, ფასის კლება მხოლოდ თბილისში, 5-8%ის ოდენობით დასტურდება.

თაკო კვაჭანტირაძე

ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე, როგორც წესი, ცოტას წერენ. სამწუხაროდ, ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ნაბიჯები, ფაქტობრივად, არ იდგმება. არადა, გვინდა თუ არა, ეს ურთიერთობები მოსაწესრიგებელია. საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დათბება თუ ახალი აგრესიაა მოსალოდნელი?

„რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის ფონდის“ პრეზიდენტი, პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ ხომერიკი დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.



ვლადიმერ ხომერიკი:

ვურჩევ ხელისუფლებას, მალე დაიწყოს დიალოგი რუსეთთან!

— ბატონო ვლადიმერ, მოდით, საუბარი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით დავიწყოთ. როგორ შეაფასებთ საქართველოში წინასაარჩევნო დროს? ნაცების აგრესიული კამპანია აშკარაა. გამოკვეთილია პოლიტიკური ძალები — „ქართული ოცნება“, „პატრიოტთა ალიანსი“ და „ნაციონალური მოძრაობა“, თქვენი აზრით, ვის რა შესაძლებლობა აქვს?

— ვფიქრობ, წინასაარჩევნო დრო და საარჩევნო კამპანია ძალიან დაძაბული და სერიოზული იქნება. წლებია, საქართველოში რთული ვითარებაა, რაც გრძელდება მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან მოშორების შემდეგაც. ამ ეგრეთ წოდებული ოპოზიციის სააკაშვისეული დამპალი ფესვები ხელისუფლებას არ აძლევს საშუალებას, რომ ქვეყენაში იყოს მშვიდობა და საქართველომ ააწყოს თავისი პოლიტიკა, დაადგეს თავის პატრიოტულ გზას და მოემსახუროს თავის ხალხს. გავიმეორებ, სააკაშვილის დამპალი ფესვები, აგრეთვე ამერიკა და ევროპის სხვა ქვეყნები არ არიან დაგულისყურებულნი, რომ საქართველო განვითარდეს. მათი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი პოლიტიკის გატარებაა.

რა თქმა უნდა, საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას არ მოსწონს, რადგან ერთი და იგივე სახეებია და ერთი და იგივე ცირკია ქვეყანაში. როგორც ვხედავ, ამ პოლიტიკურ ძალებს ერთი პატრონი ჰყავს. სამწუხაროა, რომ საქართველოში არ ჩანს და არ მოვიდა ის მესამე ძალა, რომელიც იქნება ნამდვილად პატრიოტულად და სახელმწიფოებრივად განწყობილი და გააკეთებს იმ საქმეს, რაც სჭირდებათ თვით ქართველ ერს და საქართველოს.

უმთავრესი, რა თქმა უნდა, საქართველოს ერთიანობა, რეალური დამოუკიდებლობა და ეკონომიკური განვითარებაა.

მიმაჩნია, რომ საქართველოს პატრიოტობა ის არ არის, რაც დღეს ხდება. გამოვარდებიან, ყვირიან — ვაშა საქართველოს გაუმარჯოს, ის მტერია, ეს მტერია, მაგრამ თავად არაფერს სთავაზობენ და არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ საქართველო იყოს განვითარებული, დამოუკიდებელი და ეკონომიკურად ძლიერი. სამწუხაროდ, ეს არის საქართველოს სინამდვილე. ხალხს არა აქვს არჩევანი. უმეტესობა ფიქრობს, რომ საქართველოში ხალხის განწყობა რუსეთთან დაპირისპირებაა, რასაც ახმოვანებს ოპოზიცია, სხვათა შორის, პოზიციაც. საუბედუროდ, საქართველოს პოლიტიკა დღეს ტრიალებს რუსეთის ირგვლივ მხოლოდ უკულმა კუთხით და არა იმისთვის, რომ საქართველო იყოს განვითარებული და რეალურად შეეძლოს გამთლიანება და იმ მიწა-წყლის დაბრუნება, რაც სააკაშვილის მმართველობის დროს დაიკარგა.

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ამ ხელისუფლების დროს თითქოსდა დალაგებისკენ წავიდა, ყოველ შემთხვევაში აგრესიული პოლიტიკური რიტორიკა, წინა რეჟიმისგან განსხვავებით „ქართულ ოცნებას“ არა აქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. როდის ჩადგება ეს ურთიერთობები კალაპოტში, თქვენ რა მოლოდინი გაქვთ და რას ამბობენ კრემლში?

— არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოს პრობლემების გადაწყვეტისა და გამთლიანების გასაღები დევს რუსეთში. პოლიტიკოსებმა რუსეთთან დიალოგი თუ არ აღადგინეს, ამ საკითხების გადაწყვეტა ვერ მოხდება.

თქვენ მშვენივრად ხედავთ, რა ხდება დღეს საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთის გეოპოლიტიკური ზონა შედის რუსეთის მიზნებში და გინდა თუ არ გინდა, რუსეთი არის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო და რუსეთის მიზნები უნდა იყოს გათვალისწინებული ამ მხარეში. აქედან გამომდინარე, ჩვენ ჩვენი მიზნები უნდა გავთვალოთ და შევუსაბამოთ საერთაშორისო გამოწვევებს. ჩვენ არ უნდა მოვიქცეთ ისე, რომ სხვა ქვეყნების მიზნების გამო დავუპირისპირდეთ რუსეთს და დავამუხრუჭოთ ჩვენი ქვეყნის განვითარება და ჩვენი მთავარი მოთხოვნა მიწა-წყლის მთლიანობის აღდგენა. აი, „ნაცები“ და „ევროპული საქართველო“ ვითარებას ძაბავენ, მათ არ სურთ საქართველოს სტაბილურობა. რა თქმა უნდა, ჩვენ მშვენივრად ვხედავთ, რომ დღეს რუსეთთან მეგობრობაზე კი არა, მგონი, აგრესიაზე გადადის აქცენტები. საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნაა, რომ დაიწყოს დიალოგი საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის. ვიმეორებ, დიალოგს ალტერნატივა არა აქვს.

მე კარგი განწყობა მაქვს დღევანდელი მთავრობის მიმართ. მესმის, რომ ამ მთავრობას სურს, გააკეთოს სიკეთე ჩვენი სამშობლოსთვის, მაგრამ ხელფეხი აქვს შეკრული იმ საგარეო ვალებით და იმ საერთაშორისო ვალდებულებებით, რაც დატოვა მიხეილ სააკაშვილმა. და ეს უვარგისი, საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ძალა, ვგულისხმობ, „ნაციონალურ მოძრაობას“, „„ევროპულ საქართველოს“-ს და „ახალ საქართველოს“ (ეს ერთი გუნდია), დაგულისყურებულია, რომ საქართველო არ განვითარდეს და არ გამთლიანდეს. ეს ხალხი მთავრობას არ აძლევს საშუალებას, რომ რუსეთთან დაიწყოს მოლაპარაკება, გადაიდგას ის ნაბიჯები, რომლებიც სასარგებლოა საქართველოს განვითარებისთვის.

— რუსეთის ინტერესებში შედის თუ არა საქართველოსთან ურთიერთობების დათბობა?

— სამწუხაროდ, რუსეთს ნაცმოძრაობის ლაწირაკების ბღავილის მოსმენა და ყურება მობეზრდა. რუსეთს მათი პროვოკაციების ყურება და ბოდვის მოსმენა არ სურს, მეტიც, გულისყური დაეკარგა საქართველოს მიმართ. რუსეთმა თავის დროზე საქართველოს მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგა, თუმცა, უაზრო ლანძღვა-გინების მეტი ვერაფერი მიიღო. დღევანდელ მთავრობას ამ ე.წ. ოპოზიციის მავნე გამოხტომების გაჩერება არ შეუძლია. სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტს ვერ გაურკვევია დიპლომატიის ტაქტი და მისი გამოსვლები რუსეთში ცუდ რეზონანსს გამოიწვევს, რადგან სახელმწიფოს პოზიციად ითვლება. ამას კი, მავნებლობა მოაქვს საქართველოსთვის.

ჩვენ ერთ ადგილას ვდგავართ, წინ ვერ მივდივართ. აბაშიძე-კარასინის ფორმატი, რა თქმა უნდა, სუსტია. დონეც არა აქვს სახელისუფლებო. მხოლოდ ჰუმანიტარულ საკითხებზე საუბრობენ. დღევანდელ მთავრობას ხელ-ფეხი აქვს შეკრული სააკაშვილის მოქმედებების გამო. გავიმეორებ, მიზეზი ის უშველებელი საგარეო ვალებია, „ქართულ ოცნებას“ მემკვიდრეობით რომ ერგო.

რუსეთი დღეს არ არის განწყობილი იმისთვის, რომ პირველმა გადმოდგას ნაბიჯი, ელოდება, როდის გააკეთებს ამას საქართველოს მთავრობა. ჩვენ უნდა გადავდგათ პირველი ნაბიჯი, რადგან ეს საქართველოს სჭირდება, პრობლემები ჩვენ გვაქვს, რუსეთს კი არა. და აქ ამაყობა არ არის საჭირო. სჯობს, გავიხსენოთ, როგორ იქცეოდნენ ჩვენი მეფეები, როცა სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, რათა ეშველათ თავისი ქვეყნისთვის და ხალხისთვის. ეს სასირცხვილო არ არის, ეს არის გონიერება და სიდინჯე, რაც ბოლო 30 წელია საქართველოს მმართველებს არ აღმოაჩნდათ.

— ორიოდე დღის წინათ, თქვენ განაცხადეთ, რომ სააკაშვილის გუნდს რუსეთთან ახალი ომის წამოწყება უნდა...

— ნამდვილად. მარტო საქართველოში კი არა, სხვადასხვა მხარეშიც. როგორც ხედავთ, სააკაშვილი დღეს ემსახურება უკრაინას, თუმცა სინამდვილეში იქ ყველაფერს ანგრევს. უკრაინაში უკვე დაიწყო ის ნგრევის პროცესი, რაც, უწინარესად, ამერიკისა და ევროპის მიზანია. სააკაშვილის „სიყოჩაღე“ საქართველოს მისამართით ზუსტად ამ პროცესების საქართველოში გადმოტანაზე მიგვანიშნებს.

ზუსტად ამ მიზნით იმყოფება სააკაშვილი უკრაინაში, მას ეს დავალება აქვს და ძუნკალი ძაღლივით დარბის აქეთ-იქით.

ამერიკამ მოქალაქეობაც კი არ მისცა, დატოვა უკრაინაში და იმ დავალებებს აძლევს, დღეს, უკრაინას უკიდურესად რომ ასუსტებს, ასევე აგრძელებს საქართველოს ნგრევასაც.

— თქვენი აზრით, მშვიდ ვითარებაში ჩაივლის თუ არა წინასაარჩევნო დრო, თუ მოსალოდნელია რაიმე სახის არეულობა ან გართულება აგრესიული პოლიტიკური ძალების, იმავე ნაცების მხრიდან ?

— გართულებებ, ბუნებრივია, იქნება. ეს არის ძალიან საშიში ძალა. თქვენ იცით, ადრე რაც ხდებოდა, არჩევნებზე უკრაინიდან სააკაშვილის ჯგუფებს აგზავნიდნენ, რომლებსაც სურდათ დიდი არეულობის მოწყობა, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ივარგა და არ მისცა მათ არეულობის საშუალება.

ისინი არიან შურისძიების გზაზე და სურთ, რომ ამ გზით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ საქართველოს მოსახლეობა არ არის ისე განწყობილი, რომ ეს მახინჯი და მტრული ძალები დაბრუნდნენ ხელისუფლებაში.

ასევე არის საუბრები, რომ პატარ-პატარა პარტიებს, ეროვნულ ძალებს რუსეთი აფინანსებს, რაც არის ბლეფი.

— დიახ, 2-კაციანი პარტიები იქით იყოს და საუბარია იმაზეც, რომ „ქართულ ოცნება“ რუსეთუმეა...

— ეს არის დიდი სისულელე. დაფიქრდით, ოცნება რომ რუსეთუმე იყოს, ის პროცესები, რაც დღეს საქართველოში ხდება არ იქნებოდა. როგორ გგონიათ ამ ნაცებს, ამ მაიმუნებს ასე ანებივრებდნენ ?

მთავრობა უნდა იყოს პროქართული. უნდა გითხრათ, რომ საუბრები იმაზე, რომ რუსეთი რომელიმე პოლიტიკურ ძალას ეხმარება ან აფინანსებს, არის სისულელე. მე ზუსტად ვიცი ეს.

სამწუხაროდ, რუსეთი საქართველოს საქმეებში არ ერევა, კარგი გაგებით, სამწუხაროდ, რადგან, რუსეთს უნდა ჰქონდეს თავისი გეოპოლიტიკური მიზანი, ვგულისხმობ იმას, რომ რუსეთი უნდა ეხმარებოდეს ღირსეულ და მამულიშვილურ ძალებს საქართველოში, რომლებსაც აგულისყურებთ საქართველოს ბედი. ვიმეორებ, რუსეთს საჭიროდ არ მიაჩნია, რომ ჩაერიოს, მას თავისი მიზნები შესრულებული აქვს. რუსეთი აკონტროლებს ამ მხარეს და ამდენ ბღავილსა და ლანძღვაში დაიღალა.

დღეს საქართველოს სახელმწიფებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები სჭირდება.

პირდაპირ ვიტყვი — ასეთ ადამიანად საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მივიჩნევ. გიორგი გახარია გონიერი, ბრძენი და პატრიოტი ადამანია. მე მომწონს მისი გადადგმული ნაბიჯები და ის სიდინჯე, რაც მას გააჩნია.

ჩვენ გვეშინოდა, ვინ დაიწყებს დიალოგს, ვინ დაელაპარაკება რუსეთს, ვინ იქნება პუტინთან მოლაპარაკების მოთავე.

ჩემი აზრით, გიორგი გახარია შესანიშნავი კანდიდატურაა. მას შეუძლია, რუსეთთან ზუსტად მიიტანოს ის მესიჯები, რაც საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარეობს და გაითვალისწინოს რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნები.

დიახ, გიორგი გახარია ძლიერი მომლაპარაკებელია, გონებრივადაც არც ერთ პრეზიდენტს არ ჩამორჩება. ის პუტინთან საუბარში უკან არ დაიხევს და არც მისი გავლენის ძვეშ მოეძცევა. თუ მოლაპარაკება დაიწყება და საქართველო გაითვალისწინებს რუსეთის გეოპოლიტიკურ მიზნებს, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოებისა და განვითარების გარანტიები იქნება, მაშინ, ვფიქრობ, იმედი მოგვეცემა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ საქართველოს გაერთიანებისკენ გადაიდგას ნაბიჯები და საქართველოს გამთლიანება დაიწყოს. რა თქმა უნდა, საქართველო დიდი არჩევნის წინაშე დგას — ჩვენ უნდა ავირჩიოთ, გვინდა მთლიანი საქართველო თუ როგორიც ნატომ შემოგვთავაზა, გავწევრდეთ იქ უაფხაზეთოდ და უსამხრეთოსეთოდ, და მეორე გზას ვირჩევთ, გამოდის, რომ ვცნობთ ამ მიწა-წყლის დაკარგვას?! არჩევანი ჩვენზეა, საქართველოს ხელისუფლებამ გონიერება უნდა გამოიჩინოს და სწორი ნაბიჯები გადადგას.

ვურჩევ ხელისუფლებას, მალე დაიწყოს დიალოგი რუსეთთან, რათა დროულად მოხდეს ამ დაძაბულობის განმუხტვა.

ესაუბრა ქეთი ხომერიკი

კონდოლიზა რაისი: საქართველომ საკუთარი დემოკრატია თვითონ უნდა ააშენოს

შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ამბობს, რომ რთული საერთაშორისო გარემოებებისთვის თავის გასართმევად, საქართველომ საკუთარი დემოკრატია და ეკონომიკა თავად უნდა ააშენოს. ამ პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობას მხოლოდ დახმარების აღმოჩენა შეუძლია.

„ასპენის უსაფრთხოების ფორუმზე" გამოსვლისას, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსის პირველ დიპლომატს შეკითხვა „ამერიკის ხმამ" დაუსვა. კითხვაზე, თუ როგორ უნდა გაართვას თავი საქართველომ რუსეთის მზარდ აგრესიას, ქვეყანაში რუსეთის შეჭრიდან 12 წლის შემდეგ, კონდოლიზა რაისმა თქვა:

„საქართველოზე იმას ვიტყვი, რასაც ქართველებს მაშინ ვეუბნებოდი, ისევე როგორც უკრაინელებს და სხვებს, რომ შესაძლოა საერთაშორისო გარემოებები ძალიან ხელსაყრელი არ არის, მაგრამ საკუთარი ქვეყანა თქვენ უნდა ააშენოთ. საკუთარი დემოკრატია თქვენ უნდა ააშენოთ. საკუთარი ეკონომიკა თქვენ უნდა ააშენოთ. თქვენ უნდა დაწეროთ თქვენი წესები და კანონები ეკონომიკური განვითარებისთვის. საერთაშორისო სისტემას შეუძლია დაგეხმაროთ, მაგრამ ყველაფერი იწყება შინ, კარგი მმართველობით. ქართულ დემოკრატიას საკუთარი აღმასვლა და დაღმასვლები ჰქონდა, მაგრამ ის გადარჩა. ვფიქრობ, ეს კარგია და კარგის ნიშანია."

რუსეთზე საუბრისას, ის ორ პარალელურ მიდგომაზე საუბრობს და ამბობს, რომ „პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, სად უნდა მოხდეს პუტინის შეკავება. **„ის უნდა შეკავდეს. ამის გამო, ვფიქრობ, რომ გერმანიიდან ჯარის (ნაწილის) გაყვანა და მათი უფრო აღმოსავლეთით განთავსება კარგი იდეაა. სიმართლე ისაა, თუნდაც საბჭოთა კავშირის შესაკავებლად მხოლოდ იმაზე არასოდეს ვყოფილვართ დამოკიდებული, თუ რას ამბობს პრეზიდენტი. საბჭოთა კავშირს ამერიკელი ჯარისკაცები აკავებდნენ, რომლებიც საფრთხის წინაშე იდგნენ გერმანიაში. მე მწამს, რომ მეტის გაკეთება შეგვიძლია ნატოში შეკავებისთვის. ვფიქრობ, შეგვიძლია მეტი გავაკეთოთ იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებიც რუსეთის (საფრთხის) წინაშე არიან."**

მეორე საკითხი, რომელზეც ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ისაუბრა, რუსი ხალხის მზარდი უკმაყოფილებაა, რისი დასტურიც ხაბაროვსკში მიმდინარე მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციებია. რაისი აცხადებს, რომ რუსეთში ბევრი ადამიანია, რომლებიც დასავლურ ღირებულებებს იზიარებს. „რუსი ხალხის მიმართ მეტად ნიუანსური მიდგომა და მათი წახალისება გვჭირდება, ვისაც სხვანაირი რუსეთის ხილვა სურს" თქვა მან. სახელმწიფო მდივანმა ასევე დასძინა, რომ შეიძლება საჭირო იყოს პუტინის ხელისუფლებიდან წასვლას დაველოდოთ. **„იმას მოცემულობად არ მივიღებდი, რომ ის შეიძლება, იმდენ ხანს დარჩეს პრეზიდენტად, რამდენ ხანსაც თვითონ ისურვებდა. ასეთი რეჟიმები უფრო მყიფეა."** კონდოლიზა რაისს, 2008 წელს რუსეთის საქართველოში შეჭრისას, ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ეკავა. პრეზიდენტ ბუშის დავალებით და საქართველოსთვის მხარდაჭერის გამოცხადების მიზნით, ის თბილისს 2008 წლის 15 აგვისტოს ეწვია.

ია მეურმიშვილი

ამერიკის მზარდი ურთიერთობა საქართველოსთან ზიარ ფასეულობებსა და საერთო ინტერესებს ეფუძნება

The Heritage Foundation:-ი **სტატიას აქვეყნებს სათაურით „მეტი დემოკრატია და ღია ბაზრები საქართველოს წინსვლის გზაა"**. სტატიის ავტორები ენტონი კიმი და მამუკა წერეთელი აღნიშნავენ, რომ შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ ძლიერი თანამშრომლობის გზით საგრძნობლად გააღრმავეს პარტნიორობა გასული სამი ათწლეულის განმავლობაში.

„საქართველომ მნიშვნელოვანი სამხედრო წვლილი შეიტანა ერაყსა და ავღანეთში შეერთებული შტატების ხელმღვანელობით წარმოებულ საერთაშორისო უსაფრთხოების ოპერაციებში. შეერთებული შტატები საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ძლიერი მხარდამჭერია საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. თუმცა, მეტის გაკეთება შესაძლებელია და აუცილებელია აშშ-საქართველოს ურთიერთობების დასაწინაურებლად. ორი დიდი ხნის პარტნიორი ერთმანეთისგან ბევრ სარგებელს მიიღებს, თუ მეტად ითანამშრომლებენ დემოკრატიისა და ღია ბაზრების ღირებულებების გასაძლიერებლად", — ნათქვამია სტატიაში. სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ ამერიკის მზარდი ურთიერთობა საქართველოსთან, რომელიც ზიარ ფასეულობებსა და საერთო ინტერესებს ეფუძნება, სასარგებლოა ორივე ქვეყნისთვის.

„ამერიკის მზარდი ურთიერთობა სტრატეგიულ ადგილას მყოფ საქართველოსთან ზიარ ფასეულობებსა და საერთო ინტერესებს ეფუძნება. ის მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ორივე ქვეყნისთვის. წარსულის კრიზისებისა და გამოწვევების მსგავსად, საქართვლო ამჟამინდელი პანდემიის დროსაც ამტკიცებს, რომ შეერთებული შტატებისთვის საიმედო მოკავშირეა. ქვეყანა გეო-პოლიტიკურად ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე იმყოფება და გამოკვეთილად ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო განვითარებადი ეკონომიკის მქონეა მსოფლიოში. შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ სამი ათწლეულის განმავლობაში წარმოებული ძლიერი თანამშრომლობის გზით საგრძნობლად გაზარდეს პარტნიორობა. მაგალითად, საქართველომ მნიშვნელოვანი სამხედრო წვლილი შეიტანა ერაყსა და ავღანეთში შეერთებული შტატების ხელმღვანელობით წარმოებულ საერთაშორისო უსაფრთხოების ოპერაციებში. შეერთებული შტატები საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ძლიერი მხარდამჭერია საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. თუმცა, მეტის გაკეთება შესაძლებელია და აუცილებელია აშშ-საქართველოს ურთიერთობების დასაწინაურებლად. ორი დიდი ხნის პარტნიორი ერთმანეთისგან ბევრ სარგებელს მიიღებს, თუ მეტად ითანამშრომლებენ დემოკრატიისა და ღია ბაზრების ღირებულებების გასაძლიერებლად", — წერენ სტატიის ავტორები.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს კუკური სიხარულიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კუკური სიხარულიძე (პ/ნ 33001009639), თბილისი, ვარკეთილი 3 დასახლება, 4 მ/რ, კორპ. 406, ბინა 29

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ოზურგეთი, ბესიკის ქ. №1ა (საკადასტრო კოდი: 26.26.58.159).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 23031.41 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 5 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 18 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP67078920;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 670789
6. **მოვალე:** ზვიად სიხარულიძე (პ/ნ 33001010739), თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზ. №50
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP67078920; ლოტის ნომერი: 670789).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 18 აგვისტოს 10:00 საათამდე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თემურ გუგეშაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თემურ გუგეშაშვილი (პ/ნ 62003005883), რუსთავი, 11 მ/რ, №4, სართული 4, ბინა №28
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
რუსთავი, 11 მ/რ, №4, სართული 4, ბინა №28 (საკადასტრო კოდი: 02.02.04.181.01.028).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 20673.58 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 5 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 18 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP67079120;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 670791
6. **მოვალე:** თემურ გუგეშაშვილი (პ/ნ 62003005883), რუსთავი, 11 მ/რ, №4, სართ. 4, ბინა №28
ნოდარ გუგეშაშვილი (პ/ნ 62003014663), რუსთავი, 11 მ/რ, კორპ. 1, ბინა №28
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP67079120; ლოტის ნომერი: 670791).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 18 აგვისტოს 10:00 საათამდე.

◎ დროებით

სავარაუდოდ, დეკემბრამდე

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად გიორგი გორგასლიძე აირჩიეს, რომელიც სრკ-ის ვიცე-პრეზიდენტად 2008 წლიდან მუშაობს.

გამგეობის სხდომაზე ცნობად მიიღეს რაგბის კავშირის ყოფილი პრეზიდენტის გოჩა სვანიძის განცხადება სრკ-ის პრეზიდენტისა და გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ გამგეობამ კენჭი უყარა და საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის უფლება-მოვალეობის დროებით შემსრულებლად ერთხმად დაამტკიცა საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი გორგასლიძე. ის აღნიშნულ ფუნქციას საქართველოს რაგბის კავშირის ნამდვილ წევრთა საერთო კრების (ყრილობა) ჩატარებამდე და რაგბის კავშირის ახალი პრეზიდენტის არჩევამდე შეასრულებს.

გორგასლიძემ გამგეობას მიმართა წინადადებით, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე შეიქმნას საკონსულტაციო სათათბირო საბჭო, რომლის ფუნქცია პანდემიის ფონზე რაგბის სფეროში არსებული პრობლემების დაძლევა იქნება. ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. საკონსულტაციო სათათბირო საბჭოს წევრთა ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა და მასში რაგბის კავშირის წარმომადგენელთა გარდა აუცილებლად შევლენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები.

„ცნობად მივიღეთ გოჩა სვანიძის განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით და გამგეობის გადაწყვეტილებით, დავინიშნე რაგბის კავშირის დროებით მმართველად, საკონსულტაციო სათათბირო საბჭოსთან ერთად. ჩვენი მიზანია, რომ რაგბის კავშირი პრეზიდენტის არჩევნებამდე მივიყვანოთ, რომელიც, სავარაუდოდ, დეკემბერში გაიმართება, მანამდე კი უზრუნველვყოთ კაცთა, ჭაბუკთა და ბავშვთა ლიგების განახლება, ასევე, ამ პერიოდამდე დაგეგმილი საერთაშორისო თამაშების ორგანიზება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული რაგბისათვის“ — განაცხადა გიორგი გორგასლიძემ.

კობა კობახიძე

◎ არის, ასრულდა!

ხვალ ჩემპიონთა ლიგა განახლდება

გილოცავთ, გულშემატკივრებო! ხვალ ჩემპიონთა ლიგა საპასუხო მერვედფინალური შეხვედრებით განახლდება. მართალია, უმაყურებლოდ, ცარიელი ტრიბუნების თანხლებით, მაგრამ მაინც — ეს ხომ ზაფხულის მთავარი საფეხბურთო მოვლენაა.

მოგეხსენებათ, ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ევროტურნირი თითქმის ნახევარწლიან იძულებით საღათას ძილში კორონავირუსის პანდემიის გამო გაუშვეს, რის გამოც ადვილი შესაძლებელია კუნთების გახურებამდე ვარსკვლავებმა ჩვეული სპექტაკლები ჯერჯერობით ვერ დადგან, მაგრამ, ვიმედოვნებთ, ისინი მალე აღიდგენენ კონდიციებს და მომავალი კვირიდან ლისაბონში დაგეგმილ დასკვნით რაუნდს სრულ მზადყოფნაში შეხვდებიან.

მანამდე კი, მოდით, უახლოესი პლეი-ოფის აფიშას გადავხედოთ.

ხვალ: „სიტი“ — „რეალი“ (პირველი მატჩი 2:1), „იუვენტუსი“ — „ლიონი“ (0:1).

ერთი შეხედვით, პეპ გვარდიოლას ანსამბლმა წარმატებით გადაჭრა ურთულესი ამოცანა, როცა მრისხანე მეტოქე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაამარცხა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ცამეტგზის(!) გვირგვინოსანმა მას შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო და ლა ლიგის ფინიშზე შესანიშნავად გამოიყურებოდა. თუმცა, არის ფაქტორი, რომელიც სტუმართა შანსებს კიდევ უფრო ამცირებს. ესაა დისკვალიფიცირებული საკულტო ფიგურის სერხიო რამოსის არყოფნა.

საპირისპირო ვითარებაა მასპინძელთა ბანაკში, რომელსაც ტრავმამოშუშებული სერხიო აგუერო დაუბრუნდა. დაუმატეთ ამას კევინ დე ბრუინის ფეერიული თამაში მთელი სეზონის განმავლობაში და ფავორიტიც გამოკვეთილად მოგვეჩვენება, მაგრამ...

რაც შეეხება მეორე წყვილს, სკუდეტოს მოპოვების შემდეგ „ბებერ ქალბატონს“ უმძიმესი სარევანშო ბრძოლის გადატანა მოუწევს ფრანგებთან. იტალიელთა მოტივაციას კრიშტიანუ რონალდუს ამბიციაც აათმაგებს, რომელიც აპენინებზე ჩემპიონთა ლიგის უკვე მესამე გუნდის მაისურით მოგების სურვილით გადაბარგდა („მანჩესტერი“, „რეალი“, „იუვე“). რამდენად საფუძვლიანია აღნიშნული ოცნების ასრულებაზე ფიქრი, ხვალ საღამოს შევიტყობთ.

ზეგ: „ბაიერნი“ — „ჩელსი“ (3:0), „ბარსელონა“ — „ნაპოლი“ (1:1).

„რეკორდმაისტერისგა“ განსხვავებით, კატალონიურ გრანდს იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის. ჯერ ერთი, მისი დაცვა აქილევსის ქუსლადაა ქცეული მაშინ, როცა მეტოქის თავდასხმა „სერია — ა“-ს მიწურულს საკმაოდ შედეგიანად ათამაშდა. და მეორეც — საინტერესოა, მოწესრიგდა თუ არა ურთიერთობა „ბლაუგრანას“ ბოსებსა და მესის შორის.

დაგვეთანხმებით, ამ გარემოებას შეუძლია მნიშვნელოვანწილად განსაზღვროს დამდეგი დუელის ბედი.

გიორგი ზოთაძე

არდავიწყება

მურად წივწივაძე



76 წლის ასაკში ვეტერანი ფეხბურთელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მურად წივწივაძე გარდაიცვალა.

იგი 1943 წლის 29 ოქტომბერს თერჯოლის რაიონის სოფელ კვახჭირში დაიბადა.

სათამაშო კარიერა 1962 წელს ტყიბულის „მეშახტეში“ დაიწყო, ხოლო 1965 წელს თბილისის „ლოკომოტივში“ გამოდიოდა.

1963-1964 და 1966-1968 წლებში სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ქუთაისის „ტორპედოს“ ღირსებას იცავდა, სადაც თამაშობდა ცენტრალური მცველის პოზიციაზე და ჩემპიონატის 83 მატჩი ჩაატარა.

1981 წელს მურად წივწივაძემ გუნდის თავკაცის პოსტზე ქუთაისის „ტორპედო“ სსრკ უმაღლეს ლიგაში მეორედ აღაზევა, რისთვისაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

მურადის ვაჟი — კახა ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელი გახლდათ, მისი შვილიშვილი ბექა წივწივაძე კი ცნობილი კალათბურთელია.

ეს, ასე ვთქვათ, მშრალი მონაცემებია, რომელთა მიღმაც საზოგადოებაში დაფასებული ოჯახის ღირსეული წევრის აქტიური ცხოვრება და მოღვაწეობა იმალება.

ქართული სპორტის პოპულარული წარმომადგენლის ავტორიტეტს რიონისპირა ქალაქში მისი სახელობის ბავშვთა ტურნირის დაარსებაც მოწმობს. სამწუხაროა, რომ შარშანდელი, რომლის პერიპეტიებსაც ქვემოთ გაეცნობით, უკანასკნელი აღმოჩნდა.

„21 ნოემბერს დასრულდა მურად წივწივაძის სახელობის ტურნირი 2007 წელს დაბადებულ მოზარდთა შორის, რომელსაც ორგანიზება გაუკეთა იმერეთის რეგიონულმა ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის სრული დაფინანსებით.

ფინალში, რომელიც წყალტუბოს „26 მაისის“ სახელობის სტადიონზე გაიმართა, ერთმანეთს ქუთაისის „ტორპედო“ და „სამტრედია“ დაუპირისპირდნენ.

თამაშის ძირითადი დრო ფრედ — 1:1 დასრულდა, ხოლო პენალტების სერიაში „სამტრედიამ“ 3:2 გაიმარჯვა.

ფინალურ შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი კახა ჭუმბურიძე, მისი თანაშემწე სალომე კიკალიშვილი, თვით მურად წივწივაძე, კახა წივწივაძე, კარლო კალაძე, იასონ ბზიკაძე და სხვა ვეტერანი ფეხბურთელები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პრიზიორთა და გამორჩეულ ფეხბურთელთა დაჯილდოებაში.

დახურვის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა ბატონი კახა ჭუმბურიძე, რომელმაც ისაუბრა მურად წივწივაძის საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერაზე, აგრეთვე აღნიშნა, რომ მურად წივწივაძის ხელმძღვანელობით ქუთაისის „ტორპედო“ 1981 წელს, მაშინდელი საკავშირო ჩემპიონატის 1 ლიგიდან უმაღლეს ლიგაში გადავიდა. მანვე ისაუბრა ასეთი ტურნირების ჩატარების მნიშვნელობაზე და ყველა პატარა ფეხბურთელს წარმატება უსურვა...

მურად წივწივაძის სახელობის ტურნირზე საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

1.„სამტრედია“ (მწვრთნელი ლ. მეგენეიშვილი),

2.„ტორპედო“ ქუთაისი (მწვრთნელი ა. კვერნაძე),

3.„მართვე“ ქუთაისი (მწვრთნელი გ. კუხიანიძე).

აგრეთვე დაჯილდოვდნენ ტურნირის გამორჩეული ფეხბურთელები, რომლებსაც გადაეცათ ინდივიდუალური პრიზები:

1) პირველი გოლის ავტორი — გიორგი კვესელავა („სამგურალი“),

2) ტურნირის აღმოჩენა — ნიკოლოზ ფანჩულიძე („საპოვნელა“),

3) საუკეთესო მეკარე — დემეტრე მეფარიშვილი („სამტრედია“),

4) საუკეთესო მცველი — ბიჭიკო ხაჟალია („სამტრედია“),

5) საუკეთესო ნახევარმცველი — მათე ტოფაძე („ტორპედო“),

6) საუკეთესო თავდამსხმელი — თამაზ გოლეთიანი („მართვე“ ქთ),

7) ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი — იოანე ჩაფიძე („მართვე“ ქთ),

8) საუკეთესო ბომბარდირი — ლუკა რეხვიაშვილი („ტორპედო“),

9)საუკეთესო ფეხბურთელი — ნიკოლოზ აბზიანიძე („სამტრედია“).“



მურად წივწივაძე, მუხრან მაჭავრიანი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული მწერლობისა და ჟურნალისტიკის დიდი შემწე და მეგობარი, ყველა გაჭირვებულის უშურველი თანამდგომი, გამორჩეული ადამიანური ხიბლის მქონე პიროვნება

მურად წივწივაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

სანთელი

გამოთხოვება ვახტანგ ვარდიაშვილთან

2020 წლის 14 დეკემბერს 84 წელი შეგისრულდებოდა

მძიმე დროში ვცხოვრობთ, საქართველოში სიკვდილის შიშიც კი აღარ არის, თითქოს „შევეჩვიეთ“ მის ხშირ სტუმრობას, ბევრი წავიდა ოჯახის წევრებიდან, სამეგობროდან, მშობლიური სოფლიდან თუ ქალაქიდან, წავიდნენ სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ დატოვეს სახელი, ხსოვნა, რომელიც მუდმივად სატარებელია და სახსოვარია ჩვენთვის. ამ ფონზე თითქოს არაფერი შეძრავდა ჩვენს გულს, მაგრამ ახლა სულ სხვა განცდა და ტკივილია ჩვენს სამეგობროში, ვერ ვიჯერებთ, რომ ჩვენმა ვახტანგმა ამქვეყნიურ სამყაროში ცხოვრება დაასრულა.

წლებმა დაგვაკავშირა, წლებმა გამოსცადა ჩვენი მეგობრობა და თანადგომა. ვახტანგი შეუდარებელი იყო, მას ისე არავინ არ იცნობდა, როგორც ჩვენი სამეგობრო.

ჩვენო საყვარელო ვახტანგ, ვისაც შენი ბიჭობა და მეგობრობა ახსოვს, ვისაც შენი ჭირსა და ლხინში გვერდში დგომა გამოუცდია, შეუძლებელია, გული არ სტკენოდა შენი გარდაცვალების გამო.

ჩვენო ძვირფასო ვახტანგ, შენ სამაგალითოდ განვლე ცხოვრება ქალბატონ ლალისთან და შენს სამაგალითო შვილებთან, რძალთან და შვილიშვილებთან ერთად. გულდასაწყვეტია, რომ შენისთანა ვაჟკაცი გვაკლდება, რას ვიზამთ, ღმერთის ნებაა.

ბატონ ვახტანგს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — ეკეთებინა სიკეთე ქვეყნისთვის, ადამიანებისთვის ყოველგვარი პომპეზურობისა და პიარის გარეშე.

1960 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტი და განაწილებით მუშაობა დაიწყო კოჯრის სატყეოს უფროსად. შემდეგ მუშაობას აგრძელებს საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორად, საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსად, იყო კოლეგიის წევრი, საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე, საქართველოს კოლექტიურ მებაღეობათა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თბილისის ნაძალადევის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს კონტროლის პალატის ტყის მეურნეობის განყოფილების გამგე, სატყეო დეპარტამენტის გენერალური ინსპექციის უფროსი.

ბატონ ვახტანგს მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მეტყევის წოდება. არჩეულია საქართველოს ბიზნეს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად.

ნათელი დაგადგეს, ჩვენო ძვირფასო, საყვარელო ძმაო და მეგობარო.

წავიდა ჩვენგან ფიზიკურად და სულიერად უძვირფასესი ვაჟკაცი, უანგარო, პატიოსანი და კეთილშობილი ქართველი.

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს ამ უძვირფასესი, დიდსულოვანი და კეთილშობილი პიროვნების სული.

1960 წლის კურსდამთავრებულები: **ლამარა არღანაშვილი, მადლენა კილურაძე, ელიზბარ ლომინაძე, დემნა ბლიაძე, გურამ ბერიშვილი, დათო იმნაიშვილი, ლერი ჭოჭუა, ანზორ ადეიშვილი, თამაზ ქურდიანი, გოგი ახობაძე.**

სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მწუხარებას უცხადებენ აფხაზეთის მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილე გოგი მანიას მამის

ვაჟა მანიას

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა 8 VIII. გამოსვენება 14 სთ. დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიიდან.

„ციდან ჩამოვარდნილი შეყვარებული“ შვედეთს თავშესაფარს სთხოვს

გარდაცვლილი **თამარ ბაჩალიაშვილის შეყვარებული ბაჩანა ლობჟანიძე თავშესაფარს შვედეთს სთხოვს, რადგან თვლის, რომ მის წინააღმდეგ “საქმეს კერავენ“.**

ამის შესახებ ლობჟანიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „საღამოს ნიუსრუმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„მე ეჭვს მიჩენს, რომ შეიძლება ჩემზე „საქმეს კერავენ“. არ ვიცი ვინ „კერავს“, იმიტომ, რომ ჩემი მობილურია იქ, ჩემი პირადი ინფორმაციაა და ზოგადად, მე მაქვს ადმინისტრაციული კოდექსით უფლება, რომ გავიგო, რას ფიქრობს ჩემზე სახელმწიფო, რა ინფორმაცია აქვს ჩემზე სახელმწიფოს. გუშინწინ, თუ იმის წინ იქ მივედი და ამაზე ვკითხე და მითხრეს, რომ გადაუდებელი წესით ამოიღეს, განჩინება იყო მოსამართლის და ა.შ. მე დღესაც უნდა მოვითხოვო ეს მობილური იმიტომ, რომ იქ ჩემი პირადი ინფორმაციაა, ასევე იქ მიდევს ჩიპი, რომელიც 120 გიგაბაიტია და იქ სხვა მონაცემებიც მაქვს,“ — განაცხადა ბაჩანა ლობჟანიძემ.

ამის გამო თამარ ბაჩალიაშვილის შეყვარებული თავშესაფარს შვედეთს სთხოვს.

„არ ვგრძნობ თავს დაცულად, იმიტომ, რომ მე მქონდა პრივატული საუბრები, მირჩიეს, რომ წავიდე შვედეთში. ამ საქმეს აქედან ვერ მოვიგებ. შეიძლება, კამერები დავაყენო ჩემი სახლის არეალთან,“ — განაცხადა ბაჩანა ლობჟანიძემ.

თამარ ბაჩალიაშვილის დედა აცხადებს, რომ ბაჩანა ლობჟანიძე მისი შვილის შეყვარებული არ არის და საერთოდაც ეს სახელი და გვარი „ციდან ჩამოვარდა“.

მანამდე გამოქვეყნდა ინტერვიუ თავად ბაჩანა ლობჟანიძესთან, რომელიც აცხადებს, რომ 2015 წლიდან გარდაცვლილი გოგონას შეყვარებული იყო. ლობჟანიძის თქმით, იგი არ იცნობდა თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახს, წყვილს არ ჰყავდა საერთო სამეგობრო და გოგონას მხოლოდ რამდენიმე მეგობარს იცნობდა.

რაც შეეხება შეკითხვას, რა გააკეთა, როცა შეყვარებულის გაუჩინარების შესახებ გაიგო, მამაკაცის თქმით, გოგონას დაკარგვის შესახებ გაუჩინარებიდან 3 დღის შემდეგ გაიგო, თუმცა ბაჩალიაშვილისთვის არც მიუწერია და არც დაურეკავს, არც ოჯახში მისულა და არც სამძებრო სამუშაოებში ჩართულა.

თამარ ბაჩალიაშვილის დედა: შსს-ში შეხვედრაზე რაღაც მასალები მაჩვენეს!..

გარდაცვლილი თამარ ბაჩალიაშვილის დედა თეონა თამაზაშვილი აცხადებს, რომ შსს-ში შეხვედრაზე მისი შვილის საქმის გარკვეული მასალები გააცნეს.

როგორც თეონა თამაზაშვილმა აღნიშნა, საქმეში ფედერალური ბიუროს ჩართულობის თაობაზე ზუსტი თარიღი უწყებაში ვერ დაასახელეს.

„გავეცანი დაკითხვის ოქმებს, ყველა მხრივ მიმდინარეობს მუშაობა. მითხრეს, რომ კამერების ჩანაწერების ამოღებას და ყველა მათგანის გაშიფრვას დრო უნდა და ეს იყო ყველაფერი. ფედერალური ბიუროს ჩართულობაზე ზუსტ თარიღს ვერ მეუბნებიან. დრონის კადრებს რაც შეეხება, ისინი არსებობს უბრალოდ, ამ ეტაპზე ვერ იქნა ნანახი. ყოველ შემთხვევაში, ახლა რაღაც მასალები მაჩვენეს, აქამდე სრულ ვაკუუმში ვიყავით. ბაჩანა ლობჟანიძის პიროვნებას რაც შეეხება, ის ზოგადად გამოსაკვლევია, საიდან მოვიდა, ვინ არის, რას წარმოადგენს არ ვიცით“, — განაცხადა თეონა თამაზაშვილმა.

ქართული ეკიპაჟი სამშობლოში დაბრუნდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ინდოეთში საქართველოს ელჩის არჩილ ძულიაშვილის დახმარებით მოხერხდა გამონაკლისის დაშვება და კომპანია „ელ-ვიქტორ ქრუ მენეჯმენტის“ გემის ქართული ეკიპაჟი ისევ სრულად ქართველი მეზღვაურებით შეიცვალა. ეკიპაჟის წევრების როტაცია, პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, მეზღვაურები საქართველოში ავიაკომპანია My way Airlines-ის სპეციალური ავიარეისით ჩამოვიდნენ.

პანდემიის დაწყებიდან დღემდე საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად საქართველოს მოქალაქე 4 000-მდე მეზღვაურს დაეხმარა.

ლავასოღლის ოჯახი ფართომასშტაბიან აქციას გეგმავს

ე.წ „კანონიერი ქურდის“ ლავასოღლის ოჯახი ბელარუსის საელჩოსთან ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციას გეგმავს, თუ მის ექსტრადირებას საქართველოს ხელისუფლება მალე არ უზრუნველყოფს. ამის შესახებ განცხადება „2020NEWS“-ის პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ე.წ „კანონიერი ქურდის“, მინდია გორაძის ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ექსტრადაციის 40-დღიანი ვადა ამოწურულია და სამწუხაროდ, საქართველოს მსგავსად, მოძმე ერი, ბელარუსებიც არ ცდილობენ სამართლებრივ ჩარჩოებში ჩაჯდომას.

ადვოკატის თქმით, ლავასოღლის მიმართ საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურ ნაბიჯებს ანხორციელებს და ხელს უშლის მსჯავრდებულის საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებას. მთავრობას არ აწყობს მსჯავრდებულის ექსტრადიცია, რადგან წინასაარჩევნო პერიოდია და არ სურთ სიტუაციის გართულება.

„მე მოვუწოდებ მთავარ პროკურატურას, დაუყონებლივ გადადგას ეს ნაბიჯი და მინდია გორაძე, იგივე ლავასოღლი დააბრუნონ საქართველოში, იმ შემთხვევაში თუ ეს ასე არ მოხდება, ოჯახი გეგმავს ფართომაშტაბიან აქციებს ბელარუსის საელჩოსთან“.

შეგახსენებთ, რომ ე.წ კანონიერი ქურდი ლავასოღლი ქურდული სამყაროს წევრობისთვის ქართულ სასამართლოში 2018 წელი გაასამართლეს. განაჩენის გამოტანის დროისთვის ბრალდებული საქართველოში არ იმყოფებოდა და მას 12 წლით თვისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ამონიუმის ნიტრატი ბეირუთში ბათუმიდან, რუსეთის მოქალაქის კუთვნილი გემით შეიტანეს!

ბეირუთის პორტში მომხდარი მძლავრი აფეთქებების მიზეზად 2750 ტონა ამონიუმის ნიტრატი იქცა, რომელიც საწყობში რამდენიმე წლის განმავლობაში ინახებოდა, მანამდე კი საბაჟო სამსახურის მიერ იყო კონფისცირებული, — განაცხადა ლიბანის პრეზიდენტმა მიშელ აუნმა. ქვეყნის შს მინისტრმა რაია ალ-ჰასანმა დასძინა, რომ ეს ტვირთი პორტის ერთ-ერთ საწყობში 2014 წლიდან ინახებოდა. ამასთან, ტელეარხ LBCI-ს ცნობით, ლიბანის თავდაცვის უზენაესი საბჭოს სხდომაზე გაიჟღერა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ საშიში ტვირთი მოლდოვას დროშის ქვეშ მცურავ ხომალდ Rhosus-დან იქნა კონფისცირებული, რომელიც საქართველოდან, კერძოდ, ბათუმიდან მოზამბიკისკენ მიემართებოდა და ბეირუთის პორტში 2013 წლის სექტემბერში ტექნიკური პრობლემების გამო შევიდა.

პორტის მმართველი ირწმუნება, რომ წლების განმავლობაში საწყობში მოხვედრა არავის შეეძლო, მაგრამ ცოტა ხნის წინ ინსპექციამ აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთ კედელში ხვრელი იყო გაკეთებული, კარის საკეტი კი შეკეთებას საჭიროებდა და აფეთქება სწორედ კარის შესაკეთებლად წარმოებული შესადუღაბებელი სამუშაოების დროს მოხდა.

ამავდროულად, „Российская газета“ საიტ shiparrested.com-ზე დაყრდნობით იუწყება, რომ Rhosus-ზე, რომელიც ბეირუთის პორტში 2013 წლის 23 სექტემბერს ტექნიკური გაუმართაობის გამო შევიდა, ლიბანის საზღვაო საპორტო კონტროლმა ექსპლუატაციის წესების უამრავი დარღვევა აღმოაჩინა, რის გამოც ხომალდს შემდგომი გადაადგილება აეკრძალა, გემის მფლობელმა კი ხომალდი მაშინვე მიატოვა. ეკიპაჟი წყლის, საკვებისა და საწვავის მცირე მარაგით გემზე დარჩა, თუმცა, ეს მარაგი მალევე ამოიწურა. მხოლოდ 2014 წელს იურისტებისა და დიპლომატების ძალისხმევით, ეკიპაჟის წევრებმა ხომალდის დატოვება შეძლეს. ტვირთი კი — ამონიუმის ნიტრატი გადმოტვირთეს და პორტის საცავში დაასაწყობეს.

ამასთან, „Медиазона“-ს ცნობით, Rhosus რუსეთის მოქალაქეს, კვიპროსში მცხოვრებ იგორ გრეჩუშკინს ეკუთვნის. გემის ამჟამინდელი ადგილმდებარეობა უცნობია - ბოლოს იგი ბეირუთის პორტში 2014 წელს აღრიცხეს.

ბეირუთში მომხდარი აფეთქების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 100-მდე გაიზარდა, დაშავდა 4 000-ზე მეტი ადამიანი. როგორც „აქცენტს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, „ამ დროისთვის საქართველოს დაშავებული მოქალაქეების შესახებ ინფორმაცია არ შესულა“.

ხანძარი საფრანგეთში

საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტში ხანძარს 1 800-ზე მეტი მეხანძრე ებრძვის.

ადგილობრივი სახანძრო დეპარტამენტის განცხადებით, დამწვარია სასოფლო-სამეურნეო მიწების სულ მცირე, 500 ჰექტარი.

ხანძრის გამო, 2700-მდე ადგილობრივი მცხოვრებლის ევაკუაცია განხორციელდა. ადგილზე 30 სახანძრო მანქანა და შვიდი სახანძრო თვითმფრინავი მუშაობს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გახდა ცეცხლის გაჩენის მიზეზი.

„ევრონიუსის“ ინფორმაციით, ტერიტორიაზე ძლიერი ქარისა და მაღალი ტემპერატურის გამო, რაც ადგილზე ხანძრის გაჩენის შესაძლებლობას ზრდის, ადამიანების შეშვება აკრძალულია.

თურქეთში შეზღუდვები მკაცრდება

თურქეთში „კოვიდ-19“-ის გავრცელების პრევენციის მიზნით შეზღუდვების ნაწილი ისევ მკაცრდება. ინფორმაციას გამოცემა „გარდიანი“ ავრცელებს.

შესაბამისი გადაწყვეტილება თურქეთის მთავრობამ ქვეყანაში ვირუსით ინფიცირების შემთხვევების ზრდის გამო მიიღო. მედია არ აკონკრეტებს, თუ რას ითვალისწინებს შეზღუდვების გამკაცრება.

ბოლო სამი კვირის განმავლობაში პირველად, თურქეთში ბოლო 24 საათში „კოვიდ-19“ის 1 000-ზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა. საერთო ჯამში, ვირუსის გავრცელებიდან დღემდე, თურქეთში კორონავირუსის 234 934 დადასტურებული შემთხვევაა გამოვლენილი, გარდაიცვალა 5 765 ადამიანი.

მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელებიდან დღემდე, ვირუსით გარდაცვლილთა რაოდენობამ 700 000-ს გადააჭარბა.

„როიტერის“ მონაცემებით, ყოველ 24 საათში მსოფლიოში ინფექციით საშუალოდ 5900 ადამიანი იღუპება, ყოველ ერთ საათში 247, ყოველ 15 წამში კი ერთი ადამიანი იღუპება.



ვირუსის გავრცელებისა და ლეტალური შემთხვევების რაოდენობის კუთხით, პირველ ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც დაინფიცირებულთა რაოდენობა ოთხ მილიონს აჭარბებს. ამ მაჩვენებლით, ამერიკის შემდეგ არის ბრაზილია, ინდოეთი და მექსიკა.



გამართლებაც ამას ჰქვია

ტანზანიაში ერთ-ერთი პატარა შახტის მფლობელმა უიშვიათესი ძვირფასი ქვა 2 მილიონ დოლარად გაყიდა.

სამიმიუ ლაიზერმა დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი ძვირფასი ქვა — ტანზანიტი აღმოაჩინა, რომლის წონაც 6,3 კილოგრამია.

ლაიზერი, რომელსაც 4 ცოლი და 30-ზე მეტი შვილი ჰყავს, საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში უკვე მეორედ მოექცა. ივნისის ბოლოს ის ერთ ღამეში მილიონერად იქცა, მას შემდეგ, რაც თავის მაღაროში 2 ტანზანიტი იპოვა. ქვების საერთო წონა 15 კილოგრამს შეადგენდა. მან ქვები ქვეყნის მთავრობას მიჰყიდა, რისთვისაც 3,4 მილიონი დოლარი მიიღო. ამ თანხით ის მშობლიურ ქალაქში სკოლისა და საავადმყოფოს აშენებას გეგმავს.

ტანზანიტი მსოფლიოს ერთ-ერთი უიშვიათესი ძვირფასი ქვაა. ის მხოლოდ ტანზანიაში მოიპოვება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 20 წელიწადში მისი მარაგი პლანეტაზე სრულად ამოიწურება.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-25

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 8 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0729; ევრო - 3.6190;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0086;
100 რუბლი - 4.1656; თურქული ლირა - 0.4419;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8076;
1000 სომხური დრამი - 6.3258.

ამინდი 6 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+32
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+33
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge